პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24
მეორე სართული, ტელეფონი 10—49.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 75 კ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.

ექსპედიციის ტელეფ. 5—48, სტამბის ტელეფონი 13—80.

ოთხშაბათი, 10 ივნისი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 130 (1285)

ს. ს. ს. რ. ს.ხ. კომისარიატის
საინფორმაციო-განყოფილების
კომპლექტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღის

— გადადგა პოლონეთის შინაგან საქმეთა მინისტრი რატაისკი.

— ჩემბერლენი პარიზში ჩავიდა.

— ფრიტიოფ ნანსენი [illegible] სომხეთში მიემგზავრება.

— პასუხისგებაში მიცემული რუმინეთის კომუნისტები და [illegible] წევრები გაიქცენ.

— მექსიკაში გლეხთა მოძრაობა ძლიერდება.

— ბელგიის „მუშათა" პარტიის ყრილობა მთავრობაში შესვლის მომხრეა.

კოოპერაციის მორიგი ამოცანები

ამ დღეებში რ. კ. პ. ა.-კ. საოლქო კომიტეტთან შესდგა კოოპერატიული თათბირი, რომელმაც მოისმინა მოხსენებები ადგილებიდან კოოპერაციის მდგომარეობაზე და იქონია მსჯელობა თუ როგორ უნდა იქნას გატარებული ამიერ-კავკასიის სინამდვილეში მე-14-ე პარტკონფერენციის გადაწყვეტილებები კოოპერაციის შესახებ.

შედეგად გვაქვს საოლქო კომიტეტის დადგენილება, რომელიც დღეს იბეჭდება ჩვენს გაზეთში.

საბჭოთა კოოპერაცია არის უაღრესი მნიშვნელობის მატარებელი სოციალისტური მშენებლობისათვის. დღეს, როცა სოფლად ფართოვდება ახალი ეკონომიური პოლიტიკის ფარგლები, კოოპერაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ის მოწოდებულია დაუპირდაპირდეს კერძო-კაპიტალისტურ ურთიერთობათა გაძლიერების ტენდენციას და სამეურნეო ღონისძიებათა გზით, მოსახლეობის კოოპერატიული შეკავშირების საშუალებით თავის გავლენას დაუქვემდებაროს სოფლის საწარმოო ძალების განვითარება და აღებ-მიცემობა და წარმართოს იგი სოციალისტური კალაპოტით.

ამ ამოცანის განსახორციელებლად კოოპერაციას მოუხდება მრავალ დაბრკოლებათა გადალახვა და თვით თავისი აპარატის გაჯანსაღება, თავისი მუშაობის უფრო მეტი შეფარდება დღევანდელ პირობებთან.

პარტიის საოლქო კომიტეტის ზევით ხსენებული დადგენილება შეიცავს მეტად მნიშვნელოვან კონკრეტიულ ღონისძიებებს, რომელთა გატარება ჩვენს კოოპერაციას გამოიყვანს ფართე გზაზე.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია, რომ სამომხმარებლო კოოპერაციას ძალიან მცირე საკუთარი საშუალებები გააჩნია. მისი მოქმედების გაფართოებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მისთვის მრეწველობის და ბანკების მხრით ხელსაყრელ პირობებში კრედიტის მიცემას საქონლით და ფულით. ამ მხრივ ჩვენში ბოლო დროს კოოპერაციისათვის არ იყო სასურველი მდგომარეობა. საოლქო კომიტეტის დადგენილება ამას ბოლოს უღებს და სამომხმარებლო კოოპერაციისათვის კრედიტის მიწოდების საკითხს შესაფერისად აგვარებს.

ამასთან, სამომხმარებლო კოოპერაციამ უნდა იზრუნოს საკუთარ საშუალებათა გადიდებაზე. ეს შესაძლებელია მეტის მოსახლეობის ჩაბმით კოოპერაციაში და საპაიო გამოსაღების სრულად აკრეფით. კოოპერაციის წევრთა რიცხვი ბევრგან მეტად მცირეა, საპაიო გამოსაღებიც არ გროვდება რიგიანად.

საოლქო კომიტეტმა თავის დადგენილებაში ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება და დასახა საშუალებანი ამ ნაკლის გამოსასწორებლად.

კერძოდ აღსანიშნავია, რომ მტკიცედ უნდა იქნას გატარებული პარტკონფერენციის დადგენილება კოოპერატიული ორგანოების არჩევნების ნამდვილი თავისუფლების უზრუნველყოფის და ადმინისტრატიულ ჩაურევლობის შესახებ კოოპერაციის საქმიანობაში. ეს უეჭველად გაზრდის მშრომელ მასსის ნდობას კოოპერაციისადმი.

კოოპერაციის აპარატს ჯერ კიდევ მრავალი ნაკლი ახლავს, რაც იწვევს საორგანიზაციო, ზედნართი ხარჯების ზრდას და საქონლის გაძვირებას. ასეთია, მაგ., კოოპერატიული წარმომადგენლობათა ყოლა, ხშირი მივლინებები, დაწესებულებათათვის ხშირად რთული, სხვადასხვა ფორმის ანგარიშების წარდგენა და სხ. ხსენებული დადგენილება წინადადებას იძლევა მიღებულ იქნას ზომები ასეთი მოვლენების მოსასპობად.

ჩვენი კოოპერაცია ხშირად ხარჯავს მნიშვნელოვან თანხებს თავისი არაპირდაპირი მიზნებისათვის, რაც უფრო აცალიერებს მის ისედაც მჭლე სალაროს. ამიერიდან ამას ბოლო ეღება.

კოოპერატივები აქა-იქ ერთგვარი ზეგავლენით ნისიად აძლევდენ საქონელს სხვადასხვა ორგანოებს და თანამდებობის პირთ, რაც აფერხებდა მის ნორმალურ მუშაობას. ეს მოვლენაც აღმოფხვრილი იქნება.

დადგენილება სპეციალურად ეხება სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კოოპერაციის საკითხებს.

იგი საჭიროდ სცნობს ცალკე რაიონების სამეურნეო თავისებურებათა მიხედვით ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებათა მოწყობას, აგრეთვე ამყარებს სწორ დამოკიდებულებას სასოფლო-სამეურნეო და საკრედიტო კოოპერაციის შორის, აერთებს რა მათ ქვედა ორგანიზაციებს ერთ მთლიან სისტემაში.

ჩვენს სინამდვილეში უაღრესი მნიშვნელობა აქვს შინამრეწველობას, რომელსაც მისდევს მოსახლეობის დიდი ნაწილი. შინამრეწველობა უნდა მოეწყოს კოოპერატიულ ნიადაგზე. საოლქო კომიტეტის დადგენილებაც საჭიროდ აღიარებს შინამრეწველობის კოოპერაციის დაუყოვნებლივ ორგანიზაციას.

კოოპერაციის საქმიანობის წარმატებისათვის საჭიროა მომზადებული კოოპერატიული მუშაკების შექმნა, რომელთა ნაკლებობა ასე საგრძნობია ჩვენში. დადგენილება ამას უწევს ანგარიშს და საჭიროდ აღიარებს კოოპერატორთა მოსამზადებელ კურსების გახსნას.

საერთოდ საოლქო კომიტეტის დადგენილებაში აღნუსხულია ჩვენი კოოპერაციის მორიგი ამოცანები და ნაჩვენებია მათი განსახორციელებელი საშუალებანი. კოოპერატიული და სხვა სათანადო ორგანოები მთელი ძალღონით უნდა შეუდგენ მათ მტკიცედ გატარებას ცხოვრებაში. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ საბჭოთა კოოპერაციის გაძლიერება საწინდარია სოციალიზმის გამარჯვების.

ჩინეთის ამბების მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა

მოსამზადებელი ხანა.

მოძრაობა დაიწყო უბრალო ეკონომიურ მოთხოვნილებების წამოყენებით: ჩინელი მუშები მოითხოვდენ 8 საათის სამუშაო დღეს მოზარდ და მცირე წლოვანთათვის, 10 საათის სამუშაო დღეს მოზრდილთათვის და კვირაში ერთი დღის დასვენებას—ეს ისეთი მოთხოვნილებაა, რომელსაც უკვე ნახევარი საუკუნის წინედ აყენებდენ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნების მუშები.

მოძრაობა გადაიქცა უდიდეს პოლიტიკურ მოვლენად, რომელსაც მიეცა მსოფლიო—ისტორიული მნიშვნელობა.

10 საათის სამუშაო დღის მოთხოვნიდან ჩინეთიდან უცხოეთის ჯარების გაყვანის მოთხოვნამდე გავიდა სულ რამდენიმე კვირა. რუსეთის მუშათა მასამაც ხანგრძლივი მოსამზადებელი ხანის შემდეგ აგრეთვე სწრაფად განვლო ანალოგიური გზა 1905 წ. იანვრის დღეებში. ინგლისის და იაპონიის იმპერიალისტების ჯარებმა ისეთივე გაკვეთილი მისცეს ჩინელ მუშებს, როგორც თავის დროზე ხალხის სისხლში ამოსვრილ ნიკოლოზ რომანოვის რეაქციონურმა ჯარებმა—რუსეთის მუშებს.

რუსეთის მუშათა მასები თავის დროზე თავიანთ ზურგზე სწავლობდენ საკითხს ეკონომიკის და პოლიტიკის კავშირის შესახებ. რუსეთის მუშათა მასების საგაფიცვო მოძრაობა სულ უფრო და უფრო იღებდა პოლიტიკურ ბრძოლის ხასიათს და უფრო და უფრო ხმამაღლა გაისმოდა ხალხში გავრცელებული ლოზუნგი—„ძირს თვითმპყრობელობა!". ჩინეთის მუშები დღეს სწავლობენ თავიანთ ზურგზე არა მარტო ეკონომიკის და პოლიტიკის კავშირის საკითხს საერთოდ, არამედ ჩინეთის ეკონომიკის და სისხლისმსმელ იმპერიალიზმის საერთაშორისო პოლიტიკის კავშირის საკითხს.

„გაიყვანეთ უცხოეთის ჯარები ჩინეთიდან".

ინგლისის და იაპონიის იმპერიალისტების ჯარებმა დახვრიტეს ათეული ჩინელი მუშა და სტუდენტი. ინგლისის იმპერიალისტების ჟანდარმებმა დაატყვევეს შანხაის ელექტრონის და წყალსადენის სადგურების მუშები. შანხაის მუშები დახვრეტის მუქარის ქვეშ იძულებული იყვნენ ემუშავათ. გაფიცვა მაინც ფართოვდება, მოძრაობა იზრდება. საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგები სულ უფრო და უფრო ხმამაღლა გაისმის, შანხაის მუშები სულ უფრო მეტ გავლენას ახდენენ ხელმძღვანელებზე და მოუწოდებენ მათ „მოქმედებისაკენ". საჭირო არ არის წინასწარმეტყველება, რათა გაითვალისწინოთ, რომ შანხაიში კიდევ ბევრი სისხლი დაიღვრება. საჭირო არაა წინასწარმეტყველი იყო, რათა გაითვალისწინო, რომ თანდათან გაღრმავდება ჩინეთის ხალხთა მასების მძულვარება უცხოეთის კაპიტალის ყაჩაღებისადმი და უფრო ხმა მაღლა გაისმის მოთხოვნილება „ხელები შორს ჩინეთისაგან".

კოლონიების და ნახევარ კოლონიების დაურბევლად არ შეუძლია იარსებოს ინგლისის და იაპონიის იმპერიალიზმს, განსაკუთრებით, პირველმა. თუ არა შეუცვლელი ექსპლოატაციით ისეთი ქვეყნებისა, როგორც ჩინეთი, იმპერიალიზმს არ შეუძლია მიიღოს ზედმეტი მოგება და მოისყიდოს მუშათა არისტოკრატიის გაბურჟუებული ზედაფენები თავის საკუთარ ქვეყანაში. ან ძარცვა-გლეჯა კოლონიებში, ან პროლეტარულ რევოლუციის დაჩქარება თავის ქვეყანაში აქედან გამოდის ინგლისის იმპერიალიზმი. ისტორიის დიალექტიკა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ სწორედ კოლონიების შევიწროებით, ჩქარდება ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა აღმოსავლეთში და ამით ჩქარდება პროლეტარული რევოლუცია იმპერიალისტურ ინგლისში.

შანხაის ამბების უდიდესი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან თვალსაჩინოდ დაამტკიცა ეს ჭეშმარიტება. ჩინელი მუშები იწყებენ იმით, რომ მოითხოვენ თავიანთი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას და ათავებენ ლოზუნგით: „გაიყვანეთ უცხოეთის იმპერიალისტური ჯარები ჩინეთიდან". სწორედ ამ მომენტში ჩინელი მუშები წარმოადგენენ მნიშვნელოვან ფაქტორს საერთაშორისო პროლეტარულ რევოლუციისათვის.

აღმოსავლეთი დაიძრა.

დღეს ჩინეთში შექმნილ საერთო პირობებში, ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობის იმ დონეზე, რომელიც უკვე მიღწეულია ინგლისის და იაპონიის იმპერიალიზმის ყაჩაღთა რეპრესიები მხოლოდ გააღვივებს დანთებულ ცეცხლს.

სავსებით მართალი იყო კომინტერნის აღმასკომის უკანასკნელი გაფართოებული პლენუმი, როდესაც მან გაითვალისწინა მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის მარშრუტის ცვლილება, როდესაც აღნიშნავდა, რომ რევოლუციონური ამბები აღმოსავლეთში ვითარდებიან გაცილებით უფრო სწრაფად, ვიდრე ამას უნდა ველოდეთ, და რომ კაპიტალიზმის ნაწილობრივი სტაბილიზაცია დიდ ხანს ვერ შეაჩერებს მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციის გამარჯვებას. პროლეტარიატის აჯანყება თავის ქვეყნის ბურჟუაზიის წინააღმდეგ პლიუს ხალხთა აჯანყება კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში—ასე განსაზღვრა ლენინმა საერთაშორისო რევოლუციის შინაარსი. ეხლა ეს ფორმულა თანდათან ხორციელდება და შორს არ არის ის დრო, როდესაც ერთმანეთს გამოეხმაურებიან შანხაი, ქალკუტა, ხანკოუ, მადრასი, ცინდაო, კაირო, პეკინი, ალექსანდრია და ამავე დროს გაიზრდება და განმტკიცდება რევოლუციონური კავშირი კოლონიალურ და დამოკიდებულ ქვეყნების ყველა ამ ცენტრებსა და ლონდონის ნიუ-იორკის, ტოკიოს და პარიზის პროლეტარიატს შორის.

ჩინეთში და ეგვიპტეში საქმე უკვე მუშების მიერ ფაბრიკების და ქარხნების ხელში ჩაგდებამდე მიდიოდა. ინდოეთში ფართოვდება მუშათა მოძრაობა. აღმოსავლეთის რევოლუციონური მოძრაობის განთიადი გაანათებს იმ წყვდიადს, რომლითაც მოცულია შავი ბურჟუაზიული რეაქციის მთელი მსოფლიო. შანხაის მუშების მოთხოვნილება უცხოეთის იმპერიალისტურ ჯარების გაყვანის შესახებ, ჰპოვებს მძლავრ გამოხმაურობას არა მარტო მოსკოვსა და ლენინგრადში, არამედ მთელი მსოფლიოს ყველა დედა-ქალაქებში. ინგლისის პროფკავშირები იწყებენ თავიანთ საერთაშორისო და პროლეტარულ მოვალეობის შესრულებას.

რაც უფრო მეტად სტანჯავს და დასცინის საკუთარი ქვეყნის მუშებს ევროპის იმპერიალიზმი, მით უფრო ჩქარა დაამსხვრევს ევროპის პროლეტარიატი ევროპის „პროვინციალიზმის" ბორკილებს და მით უფრო მეტ დახმარებას გაუწევს ის რევოლუციონურ მოძრაობას კოლონიებსა და ნახევრად კოლონიებში. ევროპის მუშა დაინტერესებულია კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნების განმანთავისუფლებელი მოძრაობით, არა მარტო როგორც ერთად-ერთი ჭეშმარიტად რევოლუციონური კლასი, მომავალი მსოფლიო რევოლუციის გეგმენი, არამედ როგორც სამუშაო ძალის გამყიდველი.

ჩვენ ჩინელ მუშებთან ვართ.

რამოდენიმე კვირამ განვლო მას შემდეგ, რაც კომინტერნმა პირველად წარმოსთქვა სიტყვა „სტაბილიზაცია". ამ რამდენიმე კვირის განმავლობაში მომხდარმა ამბებმა, საკმაოდ თვალსაჩინოთ დაამტკიცა, რამდენად შეფარდებითია თანამედროვე მსოფლიო მდგომარეობის პოლიტიკური სტაბილიზაცია. ომი მაროკოში, შანხაის ამბები, უმუშევრობის ზრდა ინგლისში, ჰინდენბურგის გამარჯვება გერმანიაში, ბულგარეთის ამბები, ფინანსიური კრიზისის ნიშნები საფრანგეთში და სხვა—ყველაფერი ეს ამტკიცებს იმას, რომ კაპიტალიზმი განწირულია სასიკვდილოთ და რომ მის მესაფლავედ იქნება საერთაშორისო პროლეტარიატი კომუნისტურ ინტერნაციონალის მეთაურობით.

შანხაის მუშების საქმე—ჩვენი საქმეა—იტყვის ევროპის პროლეტარიატის მოწინავე რაზმი. შანხაის ფეიქარი, მბეჭდავი, რკინისგზელი—ჩინეთის პროლეტარი სდგას მსოფლიო პროლეტარული ბრძოლის მოწინავე პოსტზე. სულით და გულით ჩვენ ვართ ჩინელ მუშებთან ერთად.

გ. ზინოვიევი.

კიდევ რევოლუციონური კანონიერების შესახებ

საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტური პარტიის მთავარი ყურადღება ამ ჟამად მიქცეულია იქითკენ, რომ ჩვენს ქვეყანაში დამყარებული იქნეს მტკიცე რევოლუციონური კანონიერება და ამაღლებული ჩვენი სოფლის კულტურული და ეკონომიური დონე.

ამ ამოცანების განხორციელებისაკენ არის მიმართული ხელისუფლების და პარტიის ყველა ღონისძიებანი. ხელისუფლება მოწადინებულია როგორადაც არ უნდა დაუჯდეს ეს, გადავიდეს რევოლუციონური კანონიერების ლიანდაგზე და ის უეჭველად მიაღწევს ამას.

მაგრამ იბადება კითხვა: შეიძლება თუ არა მარტო ადმინისტრატიული ღონისძიებებით, ანდა სისხლის სამართლის საქმეების აღძვრით რევოლუციონური კანონიერების ცალკე დამრღვევთა წინააღმდეგ—ნაყოფიერი ბრძოლის წარმოება დასახული მიზნების განსახორციელებლად? რა თქმა უნდა, არა. ამ საქმეში საჭიროა აქტიური და უშუალო დახმარება უპირველეს ყოვლისა კომპარტიის წევრებისა და შემდეგ მუშების და გლეხების ფართო მასების მხრიდან.

და მართლაც, რა არის რევოლუციონური კანონიერება? ეს, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს გადაჭრით უარის თქმას სამხედრო კომუნიზმის ნაშთებზე საბჭოთა და პარტიული ორგანოების მუშაობის სისტემაში და ფართო გასაქანის მიცემას მუშათა და გლეხთა ფართო მასების ინიციატივისა და თაოსნობისათვის სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში; მეორეს მხრივ, ეს არის გადამწყვეტი ბრძოლა ადმინისტრატიულ უკანონობასთან, თვითნებობასთან, მშრომელ მასების მოთხოვნილებების და კანონების დარღვევასთან და ყველა იმ მოვლენებთან, რომლებიც ხელს უშლიან მშრომელებს თავისი პოლიტიკური უფლებების და სოციალ-ეკონომიურ ინტერესების განხორციელების საქმეში; დაბოლოს, ეს არის გადამწყვეტი და დაუნდობელი ბრძოლა ჩვენი საბჭოთა აპარატების ბიუროკრატიული დამახინჯების წინააღმდეგ და მისწრაფება მათი გამარტივებისა და გაჯანსაღებისაკენ ამ აპარატების მშრომელთა ფართო მასებთან მაქსიმალურად დაახლოვების გზით. რევოლუციონური კანონიერება იმავე დროს არის ბრძოლა თანამდებობრივი ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ, რომლებიც არღვევენ ჩვენი ადმინისტრატიული და სამეურნეო დაწესებულებების ნორმალურ მუშაობას.

საჭიროა თუ არა ამ უდიდეს საქმეში დახმარება უპირველეს ყოვლისა მშრომელთა მოწინავე ავანგარდის, პირველ რიგში კომპარტიის წევრების, და შემდეგ მათთან ერთად უპარტიო მუშების და გლეხების ფართო მასების მხრიდან. ამ კითხვაზე შეიძლება გავცეთ მხოლოდ ერთი—დადებითი პასუხი.

რაში უნდა გამოიხატოს ეს დახმარება? ის უნდა გამოიხატოს, უპირველეს ყოვლისა, იმაში, რომ პარტიული მუშაკების წრეებში მოხდეს გადამწყვეტი გადახრა რევოლუციონური კანონიერების მნიშვნელობის ღრმად შეთვისებისაკენ. კომპარტიის წევრებმა, უპირველეს ყოვლისა უნდა შეიგნონ, რომ ჩვენ კანონები მიზნად ისახავენ განამტკიცონ საბჭოთა სახელმწიფოს ისეთი აღმშენებლობა, რომლის განხორციელებაც ჩვენ გვსურს, საჭიროა მათ მტკიცეთ შეიგნონ, რომ ჩვენი კანონების დარღვევა არღვევს სოციალისტურ მშენებლობას, რომ მხოლოდ ჩვენი კლასიური კანონების მტკიცეთ გატარების და დაცვის გზით შევსძლებთ ჩვენ საბჭოთა რესპუბლიკების განვითარების ეხლანდელ პირობებში მშრომელთა დიქტატურის განმტკიცებას. კომუნისტის და ხელისუფლების შეგნებული წარმომადგენელის მოვალეობა მდგომარეობს იმაში, რომ დაცული იქნეს ის კანონები, რომლებსაც აქვეყნებს საბჭოთა ხელისუფლება. მუშების და გლეხების უპარტიო მასის დახმარება უნდა გამოიხატოს მაქსიმალურ აქტივობასა და თვითმოქმედებაში თავისი სამოქალაქო უფლებების განხორციელების დროს.

აქტიური მონაწილეობა საქალაქო, სამაზრო და სათემო საბჭოებში და აღმასკომებში, ფართო თვითმოქმედება გლეხთა საურთიერთო კომიტეტებში, კოოპერატიულ გაერთიანებებში და მუშურ-გლეხური საზოგადოებრიობის სხვა დანარჩენ ორგანოებში, ფართო ინიციატივა ჩვენი ხელისუფლების ქვედა საფეხურის აპარატების გაჯანსაღების საქმეში, როგორც უშუალოთ, ისე სოფლათ საბჭოთა თანამდებობებზე ყველაზე უფრო პატიოსან და გლეხობის ნდობით აღჭურვილ პირების წამოყენების გზით, ხელისუფლების ქვედა საფეხურის აპარატების მუშაობის მახინჯი მხარეების დაუნდობლათ გამომჟღავნება, აი წამოყენებული ამოცანების ნამდვილი განხორციელების სწორი საწინდარი.

მაგრამ ამ ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის საჭიროა ერთი პირობა, სახელდობრ ის, რომ გლეხობა უნდა იცნობდეს ჩვენს კანონებს. საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ ჩვენი საბჭოთა კანონები ვერ აღწევენ გლეხობამდი.

ცენტრალური ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საკითხს იმის შესახებ, რომ გავრცელებული იქნეს ჩვენი კანონები მშრომელთა ფართო მასებს შორის, რადგან თვითეულ მუშას და გლეხს მხოლოდ მაშინ შეუძლია სავსებით განახორციელოს თავისი სამოქალაქო უფლებები, როდესაც ის გაცნობილი იქნება საბჭოთა კანონებთან.

მშრომელთა უდიდესი ნაწილის უფლებრივ უმეცრებას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს; უპირველეს ყოვლისა ეს ბრძოლა უნდა აწარმოონ სასამართლოს და პროკურატურის ორგანოებმა.

აი, ასეთია პირობები რევოლუციონური კანონიერების წარმატებით გატარებისათვის ცხოვრებაში. თვით მშრომელთა მასების და პირველ რიგში მისი მოწინავე ნაწილის დახმარებასა და ინიციატივაშია ძირითადი საწინდარი ყველა დაბრკოლებათა გადასალახავად ამ გზაზე. ხელისუფლების და მშრომელი მოსახლეობის შეერთებული ღონისძიებებით დაწყებულ საქმეს ჩვენ წარმატებით მივიყვანთ ბოლომდე.

ი. ვარძიელი.

კოოპერაციის მორიგი ამოცანები ამიერ-კავკასიაში

რ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმის 8 ივნისის დადგენილება

მოისმინა რა მოხსენებები ადგილებიდან კოოპერაციის მდგომარეობის შესახებ და რ. კ. პ. (ბ) მე-14 კონფერენციის დადგენილებანი კოოპერაციის საკითხზე, რ. კ. პ. (ბ) ა/კ. საოლქო კომიტეტი იღებს რა მე-14 პარტკონფერენციის გადაწყვეტილებებს მტკიცეთ გასატარებლათ, ამასთან ერთად საჭიროთ სთვლის:

ა. სამომხმარებლო კოოპერაციის სფეროში

1. დაევალოს ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატს ამიერ-კავკასიის კოოპერატიულ კავშირთან და ს. მ. უ. ს. რწმუნებულთან ერთად უახლოეს დროში შეიმუშაოს სახელმწიფო მრეწველობის მიერ კოოპერაციისათვის საქონლის კრედიტის მიცემის პირობები იმ აუცილებელი პირობით, რომ კრედიტის ვადები სავსებით შეფარდებული იქნეს ამა თუ იმ რაიონში საქონლის ტრიალის ვადებთან.

2. ანგარიშს უწევს რა კოოპერაციის მეტად უმნიშვნელო საკუთარ თანხებს და იმავე დროს სახელმწიფო მრეწველობის მიერ კოოპერაციისათვის მიცემულ საქონელში ნაღდი თანხების ნაწილობრივ გადახდის აუცილებლობას, რ. კ. პ. ა.-კ. საოლქო კომიტეტი საჭიროდ სთვლის რომ ჯანსაღ კოოპერატიულ ორგანიზაციებს გარდა მათი თამასუქების განაღდებისა, რომლებსაც ისინი აძლევენ სახელმწიფო მრეწველობას და სავაჭრო ორგანიზაციებს ამ უკანასკნელთა კრედიტის ხარჯზე, ბანკებმა გაუხსნან სპეციალური კრედიტი თამასუქების გასაცემათ, იმ თანხების რაოდენობით, რომლებსაც განსაზღვრავენ ბანკები ამა თუ იმ კოოპერატიული ორგანიზაციის მდგომარეობის გათვალისწინების საფუძველზე; ამასთანავე ეს კრედიტები გამოყენებული უნდა იქნეს ამ კოოპერატიული ორგანიზაციების იმ თამასუქების აღრიცხვისათვის, რომლებსაც ისინი აძლევენ ნაღდი ფულის გადახდის ნაცვლად სახელმწიფო მრეწველობას, და აგრეთვე საკავშირო კოოპერატიულ ორგანიზაციებს იმ შემთხვევაში, თუ საქონელი მათ მიერ არის გაცემული.

3. პროცენტი, რომელსაც იღებენ ბანკები თამასუქების განაღდებისათვის, საკომისიო ჯილდოსთან ერთად არ უნდა აღემატებოდეს არც ერთ ბანკში წლიურად 12 პროცენტს, საიდანაც უნდა გამოდიოდეს სახელმწიფო მრეწველობის და ვაჭრობის ანგარიში კოოპერაციასთან ამ უკანასკნელისათვის საქონლის კრედიტის მიწოდების დროს.

4. გამოდის რა მე-14 პარტკონფერენციის რეზოლიუციის მე-3 მუხლიდან, რ. კ. პ. ა/კ. საოლქო კომიტეტს საჭიროთ მიაჩნია, რომ მტკიცეთ გატარებული იქნეს ცხოვრებაში კოოპერაციისათვის პირველი რიგის უფლების მინიჭება საქონლის შერჩევაში, როდესაც მას საქონელი გამოაქვს სახელმწიფო მრეწველობიდან.

5. დადასტურებულ იქნეს, რომ სამომხმარებლო კოოპერაციამ მომავალშიაც უნდა ივაჭროს საშუალო საბაზრო ფასებზე ნაკლებ ფასებში, მაგრამ ამასთანავე აუცილებლათ იქნეს ცნობილი, რომ მომავალში ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის და მისი ორგანოების მთელი მუშაობა ადგილებზე კოოპერატიული ფასების მოწესრიგების სფეროში სავსებით შეფარდებული იქნეს მე-14 პარტკონფერენციის გადაწყვეტილებებთან კოოპერატიული ვაჭრობის არაწამგებიანობის შესახებ.

აუცილებლათ იქნეს ცნობილი სპეციალური კომისიის დაარსება ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან ამიერ-კავკასიის კოოპერატიული კავშირის მონაწილეობით, რომელმაც (კომისიამ) უნდა გადასინჯოს ამჟამად კოოპერაციისათვის დაწესებული ყველა ზედნართები სყიდვით ფასებზე, და აგრეთვე არსებული განსხვავება ფასებში საქონლის კოოპერაციისათვის და კერძო ვაჭრობისათვის მიცემის დროს. კომისიამ მუშაობა უნდა დაამთავროს ერთი თვის განმავლობაში.

6. აუცილებლათ იქნეს ცნობილი ზედდართული ხარჯების შემდგომი შემცირება კოოპერაციაში, ამასთანავე ამიერ-კავკასიის კოოპერატიული კავშირის ფრაქციას დაევალოს ერთი თვის განმავლობაში შეიმუშაოს მთელი რიგი ღონისძიებები ხარჯების შემცირების მიზნით. კერძოთ გათვალისწინებული უნდა იქნეს ხარჯების შემცირება კოოპერატიული ორგანიზაციების წარმომადგენლობათა გაუქმების ხარჯზე, რადგან ამ წარმომადგენლობებმა კომერციულათ ვერ გაამართლეს თავისი თავი; ამასთანავე შეწყვეტილი უნდა იქნეს ქვედა საფეხურის კოოპერაციის წარმომადგენლების გაგზავნა საქონლის საყიდლათ ამიერ-კავკასიის ფარგლებს იქით, და აგრეთვე ამიერ-კავკასიის ფარგლებშიც თუ ის კომერციულათ არ არის მიზანშეწონილი; შეწყვეტილი უნდა იქნეს აგრეთვე ხარჯები საქველმოქმედო მიზნებისათვის და სხვა.

7. ყველა კოოპერატიულ ორგანიზაციებს უნდა მიეცეს დირექტივა გააძლიერონ უმთავრესათ მუშაობა პაის პატრონ-წევრების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათ, ამასთანავე გამოყენებული უნდა იქნეს მატერიალური დაინტერესების პრინციპი. დაევალოს ამიერ-კავკასიის კოოპერატიული კავშირის ფრაქციას აღნუსხოს ამიერ-კავკასიის კოოპერაციაში მატერიალური დაინტერესების პრინციპის გატარების გამოცდილება და ერთი თვის განმავლობაში შეიმუშაოს ამ დაინტერესების ფორმები უახლოესი დროისათვის, როგორც მუშათა, ისე სასოფლო კოოპერაციისათვის.

8. რ. კ. პ. (ბ) მე-13 და მე-14 პარტკონფერენციების გადაწყვეტილებათა განხორციელების მიზნით, აუცილებლათ იქნეს ცნობილი შემდგომი შემცირება ამიერ-კავკასიის და ნაციონალური კოოპერატიული კავშირების იმ სავაჭრო ოპერაციებისა, რომლებიც დაკავშირებულია საქონლის შენახვის ოპერაციებთან; ამასთანავე იღებს რა მხედველობაში საშუამავლო-საკომისიო ოპერაციებზე გადასვლას, რ. კ. პ. ა.-კ. საოლქო კომიტეტი ავალებს ამიერ-კავკასიის კოოპერატიული კავშირის ფრაქციას ნაციონალურ კოოპერატიულ ცენტრებთან ერთად დაწვრილებით დაამუშაოს ეს საკითხი.

ამის გამო აუცილებლათ იქნეს ცნობილი, რომ ნაციონალური კოოპერატიული კავშირების მოღვაწეობაში პირველ რიგში წამოყენებული იქნეს საორგანიზაციო მუშაობა და, კერძოთ, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს იმ კანონის გატარებას, რომელიც შეეხება სავალდებულო კოოპერატიულ რევიზიას.

9. სცნობს რა აუცილებლათ ამიერ-კავკასიის კოოპერაციის საიმპორტო მუშაობის გაძლიერებას, რ. კ. პ. ა.-კ. საოლქო კომიტეტი ადგენს, რომ თავისი უფლება იმპორტზე სამომხმარებლო კოოპერაციამ უნდა გამოიყენოს მხოლოდ ამიერ-კავკასიის კოოპერატიული კავშირის საშუალებით.

10. საჭიროთ იქნეს ცნობილი ფართო კამპანიის ჩატარება კოოპერაციაში ახალი წევრების ჩასაბმელათ, საპაიო კაპიტალის სრულათ დასაფარავათ და წევრების ხელახლა აღსარიცხავათ იქ, სადაც ის არ ყოფილა ჩატარებული. კამპანია მოწყობილი უნდა იქნეს იმ ანგარიშით რომ ის დამთავრდეს შემოდგომის პირველ თვეებში.

11. საბრუნავი კაპიტალის გასაძლიერებლათ გადადებული თანხები რეალურათ განაწილებული უნდა იქნეს და კოოპერაციას მიეცეს ივნისის და ივლისის განმავლობაში. დაევალოს ამიერ-კავკასიის კოოპერატიული კავშირის ფრაქციას და ნაციონალური რესპუბლიკების სასოფლო კავშირების ფრაქციებს ეხლავე შეუდგენ იმ მასალების შედგენას, რომლებიც აუცილებელია იმისათვის, რომ აღძრული იქნეს შუამდგომლობა თანხების გაღების შესახებ კოოპერაციის საშუალებების გასადიდებლათ 1925—26 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

12. რესპუბლიკანურმა კოოპერატიულმა კომისიებმა უნდა გამოყონ ის კოოპერატიული ორგანიზაციები, რომლებმაც ისარგებლეს თამასუქების გასაჩივრების შეჩერებით და ამისათვის კი არ ჰქონდათ საკმაო საფუძველი; ასეთი ხელმძღვანელები მიცემული უნდა იქნენ პასუხისგებაში.

ასეთი მოვლენების განმეორება მომავალში დაუშვებლათ იქნეს ცნობილი.

13. უნდა იქნას გაძლიერებული კოოპერატიული მუშაკების მომზადება ყოველი სახის კოოპერაციისათვის, რისთვისაც ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტთან უნდა მოეწყოს კოოპერატიული კურსები, რომელიც მოამზადებს როგორც კოოპერატიულ ტეხნიკოსებს, ისე კოოპერატიულ ორგანიზაციების ინსტრუქტორებს და ხელმძღვანელებს.

დაევალოს ამიერ-კავკასიის კავშირის ფრაქციას რესპუბლიკების სახალხო განათლების კომისარიატების წარმომადგენლებთან და ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტის რექტორთან ერთად დაამზადოს ამ საკითხისათვის საჭირო მასალა იმ ვარაუდით, რათა მეცადინეობა ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში დაიწყოს მიმდინარე წლის შემოდგომიდან. აგრეთვე აუცილებლად იქნას ცნობილი კოოპერატიულ საგნების სწავლება საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში.

14. საჭიროთ იქნას აღიარებული საზღვარგარეთ რამდენიმე კოოპერატულ მუშაკის გაგზავნა დიდი ხნით კოოპერატიულ მუშაობის შესასწავლად.

15. უკიდურესად გაძნელებულად იქნას აღიარებული კოოპერაციის მიერ კრედიტებით სარგებლობა სრულიად საკავშირო კოოპერატიულ ბანკში, სამრეწველო ბანკში და ქალაქის ბანკებში, რამდენადაც ეს საკითხი დაკავშირებულია კოოპერაციის ვალდებულებასთან შეიძინოს ამ ბანკების პაები და აქციები. საჭიროა კოოპერაციას მიეცეს საშუალება ისარგებლოს კრედიტებით ამ ბანკებში აქციების სავალდებულო შეძენის გარეშე.

16. დაუშვებლად იქნას აღიარებული გლეხკომების პარალელური სავაჭრო მოქმედება კოოპერატივებთან. იქ, სადაც არ არსებობს კოოპერაცია გლეხკომებმა ხელი უნდა შეუწყონ კოოპერატიულ ცენტრთან ერთად ასეთების მოწყობას.

17. თვით კოოპერაციის ზედნართ ხარჯების შემცირებასთან ერთად, საჭიროთ იქნას აღიარებული ამ ხარჯების შემცირების და კოოპერაციის ფინანსიურ მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით, გამათანასწორებელი გადასახადების განაკვეთის დაკლება კოოპერაციის ბრუნვაზე. დაევალოს ამიერ-კავკასიის კავშირის ფრაქციას სასწრაფოდ დაამუშაოს ეს საკითხი. აღიარებული იქნას, რომ სოციალურ დაზღვევის გადასახადი კოოპერაციისათვის უნდა განსხვავდებოდეს სახელმწიფო ორგანოების გადასახადებისაგან.

18. კოოპერაციის აპარატში შემჩნეულ გაფლანგვის ზრდის გამო საჭირო იქნას ცნობილი, რათა სამოსამართლო ორგანოებმა დააჩქარონ სასამართლოებში იმ საქმეების გარჩევა, რომელიც ეხება კოოპერაციაში შემჩნეულ გაფლანგვას, მოაწყონ საჩვენებელი სასამართლოები და სხვა.

ბ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის დარგში

1. საჭიროთ იქნას აღიარებული XIV პარტკონფერენციის დადგენილების 2-ე მუხლის თანახმად სპეციალურ კოოპერატიულ, საწარმოვო-გამსაღებელ და მათი რესპუბლიკანურ ცენტრების ორგანიზაცია:

ა) მევენახეთა და მეღვინეთა და აგრეთვე მებამბეთა ყველა რესპუბლიკებში, ბ) რძის და ყველის დამამზადებელთა საქართველოში და სომხეთში, გ) მეაბრეშუმეთა აზერბეიჯანში და საქართველოში, დ) მეთამბაქოეთა აფხაზეთში და ე) მეხილეთა საქართველოში.

ამასთან ერთად საჭიროთ იქნას ცნობილი საკითხის დამუშავება იმის შესახებ, რამდენად მიზანშეწონილია მეცხვარეთა სპეციალურ გაერთიანებათა ორგანიზაცია.

2. აღიარებული იქნას, რომ სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა მუშაობაში საკრედიტო და ანაბარების ოპერაციების წარმოების დროს, როგორც კრედიტების პირობების ისე მის გატარების ტეხნიკის საკითხში სასოფლო-სამეურნეო ბანკების ხელმძღვანელობა და კონტროლი უდავოა და მათი ინსტრუქციები ამ მხრივ აუცილებლათ სავალდებულოა სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებისათვის.

იმ მიზნით, რათა მიღწეული იქნას შეთანხმებული მუშაობა სასოფლო-სამეურნეო ცენტრებსა და სასოფლო-სამეურნეო ბანკებს შორის, საჭიროთ იქნას აღიარებული სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა უფრო სწორი გამიჯვნა და აგრეთვე კოოპერატიულ კომისიების მხრივ ამ საკითხში ხელმძღვანელობის გაძლიერება.

ამავე დროს უნდა მივაღწიოთ იმას, რათა ანაბარების ოპერაციების დაყენების საქმეში სასოფლო-სამეურ. საკრედიტო ამხანაგობებში იყოს შეთანხმებული მოქმედება სასოფლო-სამეურნეო ბანკებსა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრებს შორის.

3. საჭიროდ იქნას ცნობილი, რათა არსებული წმინდა საკრედიტო ამხანაგობები გარდაიქმნან იმგვარად რომ მათ ჰქონდესთ საშუამავლო და გამსაღებლის ფუნქციები და შედიოდენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სისტემაში.

4. კანონი სავალდებულო კოოპერატიულ რევიზიის შესახებ გავრცელებული იქნას სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კოოპერაციის მთელ სისტემაზე.

5. ჩატარებული იქნას ფართო საგიტაციო კამპანია იმისათვის, რათა გლეხობის ანაბარი მიზიდული იქნას სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობაში და კერძოთ, ეცნობოს გლეხობას, რომ მისი ანაბარი საიდუმლოთ იქნება შენახული.

6. საჭიროთ იქნას ცნობილი, რათა საკითხები რაიონებში ცალკე სასოფლო-სამეურნეო ბანკების მოწყობის ან არსებობის მიზანშეწონილობის შესახებ გადაჭრილი იქნას რესპუბლიკების კოოპერატიულ კომისიების მიერ.

7. საჭიროთ იქნეს ცნობილი, რომ დროულია ამიერ-კავკასიის მასშტაბით სასოფ.-სამეურნეო კოოპერაციის ბიუროს მოწყობა ამ კოოპერაციის წარმომადგენლობითი და ორგანიზაციული ფუნქციების მინდობით.

8 სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის სისტემის სახელმწიფოებრივ ამოცანების დაკისრება არ უნდა იყოს იძულებითი და შეიძლება გატარდეს ეს მხოლოდ სასოფლო სამეურნეო კოოპერაციასთან და მის ცენტრებთან შეთანხმებით.

9. აღიარებული იქნას შესაძლებლად სამომხმარებლო კოოპერატივების მუშაობა დამზადების და გასაღების დარგში იმ შემთხვევაში, როდესაც ამა თუ იმ ადგილში არ არსებობს სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა, მაგრამ ამავე დროს კატეგორიულად აეკრძალოს საკრედიტო კოოპერაციას ვაჭრობა სამომხმარებლო მნიშვნელობის საქონლით.

10. აბსოლიუტურად დაუშვებლად იქნას აღიარებული სასოფლო - სამეურნეო ბანკების სავაჭრო მიწოდება - გასაღების ოპერაციები, ისევე, როგორც ბანკების მიერ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის უჯრედებისათვის საქონლის კრედიტების გაცემის სისტემა და ეს მუშაობა დაეკისროს სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის კავშირებს.

11. გლეხური მეურნეობის ნაყოფიერების გაძლიერების მიზნით, საჭიროთ იქნას აღიარებული, რათა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მთელმა სისტემამ ფართოთ დააყენოს მუშაობა სასოფლო-მეურნეობაში ტრაქტორების გამოსაყენებლად.

გ. შინამრეწველობის კოოპერაციის დარგში

ცნობილ იქნეს მე-14 პარტკონფერენციის დადგენილება შინამრეწველობის კოოპერაციის დარგში დიდი მნიშვნელობის მქონედ ამიერ-კავკასიისათვის. იღებს რა მხედველობაში ამიერ-კავკასიაში არსებულ ხელსაყრელ პირობებს სარეწაო კოოპერაციის მოსაწყობად და ასეთი კოოპერაციის მნიშვნელობას გლეხობისათვის, თათბირი საჭიროდ სცნობს სარეწაო კოოპერაციის დაუყოვნებლივ მოწყობას.

დ. საერთო ღონისძიებანი კოოპერაციის ყველა დარგებისათვის

1) გაძლიერებულ უნდა იქნეს კოოპერატიულ კომისიების მუშაობა ადგილობრივი ორგანიზაციების სახელმძღვანელოდ. რესპუბლიკანურ და ადგილობრივ კოოპერატიულ კომისიების მუშაობას საფუძვლად უნდა დაედოს კოოპერაციის შესახებ პარტიის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარება. კომისიებმა თავი უნდა დაანებონ კოოპერატივების ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში წვრიმალ ჩარევას.

2) კოოპერაციის საკითხებს საკმარისი ადგილი უნდა დაეთმოს ა.-კ. და რესპუბლიკანურ პრესის ფურცლებზე.

3) კოოპერაციის მიერ კრედიტის მიცემა სხვადასხვა პარტიულ, საბჭოთა და სხვ. ორგანიზაციებზე და აგრეთვე ცალკე პირებზე, ცნობილ იქნა ყოვლად დაუშვებლად. ეთხოვოს ა/კ. საოლქო კომიტეტს, რომ გასცეს განკარგულება ორგანიზაციათა სხვადასხვა პირთა მიერ კოოპერაციის მიმართ თავიანთი ძველი დავალიანების დაფარვის შესახებ.

4) კოოპერაციის დღევანდელ მდგომარეობის პირობებში შეუწყნარებლად იქნეს ცნობილი კოოპერაციის მიერ თანხების გაღება ადგილობრივ მშენებლობისა, სახალხო განათლების, კულტმუშაობისა, ჯანმრთელობისათვის და სხვ.

ამის მზგავსი პრეტენზიები, რომელთაც დღემდე ქონდა ადგილი სხვადასხვა ორგანიზაციების მხრივ, დაუყოვნებლივ უნდა იქნეს აღკვეთილი.

არ უნდა ხდებოდეს აგრეთვე პროფკავშირთა კულტფონდისათვის კოოპერაციის მოგებიდან ანარიცხების გადადება.

5) აუცილებლად იქნეს ცნობილი კოოპერაციის მიერ დანიშნული სტიპენდიების მოსპობა სასწავლებლებში, იმ სტიპენდიების გამოკლებით, რომელნიც დანიშნული არიან კოოპერატიულ სასწავლებლებში.

6) მე-14 პარტკონფერენციის დადგენილებასთან შეფარდებით გატარებულ უნდა იქნას გამგეობის ფასიან წევრების რიცხვის შემცირება—ქვედა საფეხურის კოოპერაციაში ერთ კაცამდე.

7) საჭიროდ იქნას ცნობილი კოოპერაციის მიერ სხვადასხვა ორგანიზაციებისათვის ანგარიშის ჩაბარების შემცირება და განმარტოვება. დაევალოს მუშ. და გლეხ. ინსპექც. სახ. კომ. და ცენტ. სტატ. სამმართველოს გამოიმუშაონ კოოპერაციისთვის სხვადასხვა ორგანიზაციების მიმართ ანგარიშის ჩაბარების ერთიანი ფორმა.

8) ეთხოვოს ა/კ. საოლქო კომიტეტს მისცეს დირექტიული დარიგება ადგილებს მკაცრად და გადაუხვევლად გაატარონ ცხოვრებაში რ. კ. პ. (ბ) მე-14 კონფერენციის დადგენილება კოოპერატიული ორგანოების არჩევნების შესახებ და ამავე დროს სასტიკი ბრძოლა აწარმოონ ამ დადგენილების დარღვევის წინააღმდეგ.

9) ვინაიდან კოოპერაციის საკუთარ საშუალებათა დიდი ნაწილი უძრავ მდგომარეობაში იმყოფება (ქონება, წარმოება და სხვ.), დაეკისროს ყველა კოოპერატიულ ორგანიზაციებს აიღონ მტკიცე კურსი ამ საშუალებათა უძრავ მდგომარეობიდან გასანთავისუფლებლად, ხოლო მომავლისათვის მოსპონ წარმოებაში ქონების არა რაციონალური ხარჯვა. დაევალოს რესპუბლიკის კოოპერატიულ კომისიებს ღონისძიებათა მიღება ამ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად.

10) საჭიროდ ჩაითვალოს, რომ ს. კ. პ. ცეკას კოოპერატიულმა კომისიამ გადასწყვიტოს საკითხი აფხაზეთის კოოპერატივის ინტეგრალური კავშირის არსებობის მიზანშეწონილობის შესახებ.

11) ყველა კოოპერატიულ ცენტრების შეთანხმებული მუშაობის მიზნით, როგორც ა/კავკასიის, ისე რესპუბლიკების მასშტაბით, აუცილებელ საჭიროებად იქნეს ცნობილი წვრილ კოოპერატიულ საბჭოების მოწყობა ა/კავკასიასა და ცალკე რესპუბლიკებში.

ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ჩინეთში

საპროტესტო გაფიცვები.—გაფიცულია ერთი მილიონი მუშა

იმპერიალისტების ახალი ჯარების გადასხმა შანხაიში.—ბავშვების დახვრეტა

ინგლისის მუშები მოითხოვენ ჯარების გამოყვანას ჩინეთიდან

უცხოელი დიპლომატები „გამოძიების" მოხდენას პირდებიან ჩინეთის მთავრობას.—გაფიცვები მოედო მთელს ჩინეთს.—ჩინელ მუშების, სტუდენტების და კომერსანტების გაერთიანებული კომიტეტის მოთხოვნილება.—ამერიკის მთავრობის გაურკვეველი პოზიცია.—ჩჟან-ცზო-ლინი სტუდენტთა მღელვარების წინააღმდეგ.—შანხაიში გაფიცული არიან ყველა ჩინელი მუშა-მოსამსახურეები და ვაჭრები.—ჩინეთის საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართვა ამხ. კარახანისადმი.—ჩინეთის ამბების გამოძახილი უცხოეთში

უცხოელ დიპლომატების პასუხი

პეკინი, 8 ივნისი. უცხო დიპლომატები ჩინეთის მთავრობის მეორე ნოტის საპასუხოთ აცხადებენ, რომ „საერთაშორისო კვარტალის პოლიციას მიცემული ჰქონდა ინსტრუქცია არ მიემართა იარაღისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პოლიციელებს თავს დაესხმოდენ და ისინი უშუალო საშიშროების ქვეშ იქნებოდენ დაყენებული. ეხლა ეს ბრძანება განახლებულია და ის სასტიკათ იქნება დაცული". შემდეგ ნოტა იტყობინება, რომ შანხაიში გაგზავნილია სპეციალური საგამომძიებლო დელეგაცია, რომელშიაც შედიან საფრანგეთის მისიის მრჩეველი და ინგლისის, ამერიკის, იაპონიის, ბელგიის და იტალიის მისიების მდივნები.

ბავშვების დახვრეტა

პეკინი, 9 ივნისი 8 ივნისს ინგლისელ მოხალისეთა რაზმმა ქალაქის უცხოელთა უბანთან სროლა აუტეხა ბავშვებს, რომლებიც ქვებს უშენდენ ჩამვლელ ტრამვაის. მოკლულია ერთი 8 წლის ჩინელი ბავშვი, დაჭრილია მრავალი.

საგაფიცვო მოძრაობა ფართოვდება

ერთი მილიონი გაფიცული.

პეკინი, 9 ივნისი. გაფიცულთა საერთო ციფრი ამჟამად აღწევს ერთ მილიონამდი.

250.000 გაფიცული

პეკინი, 8 ივნისი. შანხაის ამბების დროს დაზარალებულთა საერთო რიცხვი გამოიხატება შემდეგში: მოკლულია—65, მძიმეთ დაჭრილი—ასზე მეტი და მრავალი დაჭრილია მსუბუქათ. დაპატიმრებულია რამოდენიმე ასეული კაცი (სწორ რიცხვს მალავს მთავრობა).

გაფიცვა მოედო საფრანგეთის კონცესიას შანხაიში. სულ ამჟამათ გაფიცულია 250.000 კაცი. ქალაქში შეწყვეტილია ყოველგვარი მოძრაობა.

გაფიცვა სხვადასხვა ქალაქებში

პეკინი, 8 ივნისი. საპროტესტო მოძრაობა უცხოელ მოძალადეების წინააღმდეგ განუწყვეტლივ იზრდება მთელს სახელმწიფოში. გაფიცვა გადავიდა ჩანშანში, ხანკოუში, ნანკინში, ნანჩანში და მთელ რიგ სხვა ქალაქებში.

პეკინი. 9 ივნისი. საგაფიცვო მოძრაობა შეუჩერებლად ფართოვდება. გაფიცვა ედება მრეწველობის ახალ დარგებს. მოძრაობას შეუერთდენ მუშების შემდეგი ახალი ჯგუფები: მეპურეები, ქალაქის მანქანების საამშენებლო ქარხნის მუშები, ნავთსადგურის მტვირთავი მუშები, უცხოელ გაზეთების ასოთ-ამწყობები, წყალსადენის ჩინელი მუშები და აგრეთვე ელქტორნის და ტელეგრაფის საზოგადოებათა მოსამსახურეები.

საფეიქრო ფაბრიკების ადმინისტრაცია ძალით, პოლიციის დახმარებით აკავებს მუშებს სამუშაოზე, ტელეგრაფის კომპანიის ადმინისტრაციამ აღუთქვა მოსამსახურეებს სამუშაო ხელფასის გადიდება სამჯერ, თუ ისინი დაუბრუნდებიან მუშაობას. ამავე დროს ადმინისტრაცია აღუთქვამს მათ, რომ სამსახურის ადგილიდან მოსამსახურეები სახლში ივლიან საზოგადოების ავტომობილებით. მოსამსახურეებმა უარყვეს ეს წინადადება.

მდგომარეობა შანხაიში

პეკინი, 8 ივნისი. 4 ივნისიდან შეტაკებათა რიცხვი შანხაიში შემცირდა. მოძრაობის ცენტრი გადავიდა ქალაქის ჩინელთა ნაწილში, სადაც გრძელდება მიტინგები და დემონსტრაციები. უცხოელთა პოლიცია თავს დაესხა გომინდანის პარტიის კომიტეტს და შანხაის უნივერსიტეტს, რომლებსაც ბოლშევიკურ ორგანიზაციებათ სთვლიან, და თოფის კონდახებით სცემა სტუდენტებს და სტუდენტ ქალებს. უცხოელთა პოლიციამ დახურა უნივერსიტეტი. ხმების მიხედვით, ყველა ის სასწავლებლები, რომლებიც მონაწილეობას იღებდენ მოძრაობაში, დახურული იქნება.

გაფიცვა ფართოვდება: გაფიცულია უკვე 52 ქარხანა. გაფიცვას შეუერთდენ ჩინეთის პოლიცია და შინამოსამსახურეები. ელექტრონის სადგურზე, წყალსადენზე, და ტელეფონის სადგურზე მუშაობენ შტრეიკბრეხერები, რომელთა უმრავლესობა რუსი თეთრგვარდიელებია. ხანკოუდან მოვიდა ამერიკის კრეისერი და იაპონიის კანონერკები.

ინგლისის ტახტის მემკვიდრემ, რომელიც შანხაიში ჩავიდა პირველ ივნისს, საჩქაროთ დასტოვა ქალაქი.

ჯარების გადმოსხმა

პეკინი, 8 ივნისი. 4 ივნისს შანხაიში გადასხეს 450 ინგლისელი, 210 იტალიელი, 200 ამერიკელი და 160 იაპონელი სამხედრო მეზღვაურები.

პეკინი, 8 ივნისი. ინგლისის სამი, საფრანგეთის ერთი, იტალიის ერთი კრეისერებიდან, ამერიკის 7 განმანადგურებლიდან და ინგლისის, იაპონიის და საფრანგეთის 10 კანონერკიდან გადმოსხეს დესანტი--1500 ქვეითა ჯარისკაცი.

მოელიან ახალ რაზმს—400 კაცს ამერიკელების საზღვაო ქვეითა ჯარიდან.

ანტიმილიტარისტული მოძრაობა ძლიერდება

პეკინი, 8 ივნისი. მთელს სახელმწიფოში ძლიერდება ანტიმილიტარისტული მოძრაობა. ფართო დემონსტრაციები და მიტინგები გაიმართა უჩანგში, ჩუნ-ჩაუში, კაი ფუნგში, ფუ-შაუში და სხვა ადგილებში. სერიოზულ მღელვარებას ადგილი ჰქონდა კიუ-კიანგში, სადაც დაანგრიეს პოლიციის სამმართველო. იქ გაიგზავნა უცხოელების სამხედრო გემი. ძლიერი მღელვარებაა კანტონში, სადაც იმართება ფართო დემონსტრაციები.

პეკინში მოწყობილია ლექტორთა მფრინავი რაზმები. 2000-ზე მეტი სტუდენტი ყოველდღე გამოდის ქუჩებში და გზა ჯვარედინებზე. ახალგაზრდა ქალთა კავშირმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელიც მოითხოვს მომხდარ ამბების სასწრაფოდ გამოძიებას, ცალმხრივ ხელშეკრულებების გადასინჯვას და უცხოეთის ჯარების გაძევებას.

სურთ დამალონ თავისი დანაშაული

ცილისწამების კამპანია გრძელდება.

პეკინი. 8 ივნისი. გრძელდება სიყალბის და ცილისწამების გაფართოებული კამპანია საბჭოთა კავშირის და ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ ჩინეთში.

რეიტერის სააგენტოს ცნობებით, შანხაის მუნიციპალური საბჭოს მდივანმა განაცხადა, რომ „პოლიციამ მიიღო უდავო საბუთები იმისა, რომ ეხლანდელი უწესობა ხდება ბოლშევიკური ფულებით. რუსები ჩინეთ ისსტუდენტობას იყენებენ თავისი მიზნების განსახორციელებლად". რომ „დადასტურებული" იქნეს ეს ცნობა, იაპონიის სააგენტომ ნიპპონ ტემმა გამოაქვეყნა განგებ შეთხუზული ცნობა თითქოს, შანხაიში აღმოჩენილი იქნა ყუმბარების ფაბრიკა, რომლის მიზანი იყო იაპონიის საფეიქრო ფაბრიკების დანგრევა; ყალბ ცნობაში აღნიშნულია აგრეთვე, რომ შანხაიში ჩავიდა 500 შეიარაღებული სტუდენტი და სხვა.

„დეილი ქრონიკლ"-ის შიში.

ლონდონი. 8 ივნისი. „დეილი ქრონიკლ"-ი ეხება შანხაის ამბებს და სწერს: „როგორც სჩანს, **დასავლეთ-ევროპის სახელმწიფოები კარგავენ თავის გავლენას ჩინეთში. რუსეთის გავლენა ჩვენს გავლენაზე უფრო ძლიერი ხდება.** ამიტომ რუსების პროპაგანდას უნდა დაუპირდაპიროთ სხვა პროპაგანდა".

ჩან-ძო-ლინის პოზიცია

პეკინი, 8 ივნისი. ჩან-ძო-ლინმა, რომელიც დაესწრო სამხედრო კონფერენციას ტიან-ძინში, წინადადება მისცა ჩილის პროვინციის ხელისუფლებას მიიღოს აუცილებელი ზომები სტუდენტთა მოძრაობის გავრცელების წინააღმდეგ. ჩან-ძო-ლინმა განაცხადა, რომ ის არ დაუშვებს უწესოებას ტიან-ძინში.

ამერიკა და ჩინეთის ამბები

ამერიკის მოღვაწეების შიში.

ნიუ-იორკი, 8 ივნისი. ამერიკის ოფიციალურ წრეებში მეტათ აღელვებული არიან იმით, რომ **იაპონიას განზრახვა აქვს უარი სთქვას თავის უფლებაზე ექსტერიტორიალობის შესახებ ჩინეთში**, რომ ამ გზით ჩინელთა ანტი-მილიტარისტული მოძრაობა მიმართოს ამერიკის და ევროპის სახელმწიფოების წინააღმდეგ.

გაურკვეველი პოზიცია.

ნიუ-იორკი, 8 ივნისი. იმ დროს, როდესაც ოფიციალური წარმომადგენლები, კომერსანტები და გაზეთების კორესპონდენტები განუწყვეტლივ გზავნიან საშიშ ცნობებს ჩინეთიდან, ამერიკის მთავრობის პოზიცია გამოურკვეველი რჩება. მთავრობის წრეებში ფიქრობენ, რომ ამერიკის ჯარები გამოყენებული იქნება მხოლოდ ამერიკელთა ინტერესების დასაცავად. პრესის და საზოგადოების დიდი ნაწილი მოითხოვს, რომ ამერიკა არ შეუერთდეს სხვა სახელმწიფოების ინტერვენციას.

რუსეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობებით, ბორა წინააღმდეგია შეერთებული ინტერვენციის; ის ფიქრობს, რომ ამერიკამ უარი უნდა სთქვას ექსტერიტორიალობის უფლებაზე. მაგრამ ამჟამათ ბორა გაჩუმებულია; როგორც სჩანს, კულიჯის მიერ ის არ ყოფილა მიწვეული ამ თათბირზე, რომელიც ჩინეთის საქმეებს იხილავდა.

რას მოითხოვს ჩინეთის ხალხი

პეკინი, 8 ივნისი. მუშებმა, სტუდენტებმა და კომერსანტებმა მოაწყვეს გაერთიანებული კომიტეტი, რომელმაც მოლაპარაკება უნდა აწარმოოს უცხოეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან.

ეს კომიტეტი მოლაპარაკების დროს მოითხოვს შემდეგ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას: შანხაის პოლიციის უფროსის და ყველა იმ პოლიციელების დასჯას, რომლებიც დამნაშავე არიან ხალხის დახვრეტაში, მიუდგომელ საგამომძიებლო კომისიის დანიშვნას, მოკლულთა, დაჭრილთა და დაზარალებულთა ოჯახებისათვის ანაზღაურების გადახდას, ინგლისის და იაპონიის კონსულების მოწვევას შანხაიდან, ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის დათხოვნას, შერეულ საკონსულო სასამართლოების გაუქმებას, დაპატიმრებულთა განთავისუფლებას, იაპონელთა საფეიქრო ფაბრიკების მუშების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას და ფორმალურად ბოდიშის მოხდას ინგლისის და იაპონიის მთავრობების მიერ.

თავს ვერ გაიმართლებენ

ჩინელ სტუდენტების პასუხი იმპერიალისტებს

პეკინი, 8 ივნ-სი. პეკინის ნაციონალური უნივერსიტეტის სტუდენტებმა გამოაქვეყნეს დეკლარაცია, რომელშიაც უარყოფენ სტუდენტების წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებას ბოლშევიზმში. სტუდენტები აცხადებენ: „არც ერთი საღათ მოაზროვნე ადამიანი არ დაუჯერებს ამ ბრალდებებს, რომლებიც დაინტერესებული წყაროებიდან გამომდინარეობენ. **სცდილობს რა გამოსავალი გამონახოს შექმნილი მდგომარეობიდან, ინგლისის მთავრობა სცდილობს პასუხისმგებლობა შანხაის ამბებისათვის დააისროს ბოლშევიკებს. ჩვენ უნდა გამოვამჟღავნოთ ეს თვალთმაქცობა.**

პროტესტი იმპერიალისტების ძალადობის წინააღმდეგ

პეკინი, 8 მაისი. ყველა სასწავლებლებმა, უნივერსიტეტებმა და კოლეჯებმა, მათ შორის სამისიონერო სკოლებმა და ამერიკელთა კოლეჯებმა შექმნეს საერთო საპროტესტო კავშირი, რომლის სახელით გაეგზავნა შემდეგი დეპეშა ლონდონში თემთა პალატაში მუშათა ჯგუფის ბელადს მაკდონალდს, ვასადის უნივერსიტეტს ტოკიოში და ამერიკის ხალხს:

„ჩინეთის ინტელიგენცია ენერგიულ პროტესტს აცხადებს სისხლისმღვრელ ამბების წინააღმდეგ შანხაიში.

ტრაგედია, რომელიც შედეგად მოჰყვა იაპონელების ძალადობას და ჩინელ მუშების ამოჟლეტას, შემდეგში კიდევ უფრო გართულდა შანხაიში **ინგლისის პოლიციის მიერ იმ უიარაღო სტუდენტების დახვრეტით, რომლებიც შუამდგომლობდენ თავისი ამხანაგების განთავისუფლების შესახებ.** ისინი მოითხოვდენ იმ ამხანაგების განთავისუფლებას, რომლებიც დაპატიმრებულ იქნენ თავიანთ თანამოქალაქეებისათვის თანაგრძნობის გამოცხადების გამო. უცხოელების ხელისუფლების წარმომადგენლები ჩინეთში, როგორც სჩანს, გულგრილად შეხვდენ უდანაშაულო ხალხის სისხლის დაღვრას და უკანასკნელი 7 დღის განმავლობაში არავითარ სერიოზულ ნაბიჯს არ სდგამენ იმისათვის, რომ შემდეგში თავიდან აიცილონ ადამიანის მსხვერპლი.

ჩვენ, ხალხთა მეგობრობის მომხრეები, გემუდარებით თქვენ დაგვეხმაროთ და დაუყონებლივ მიიღოთ ყოველივე ზომები, რათა თავიდან იქნეს აცილებული შემდეგი ბოროტმოქმედება და ხელი შეუწყოთ კონფლიქტის საბოლოოდ გადაჭრას სამართლიანობის, კაცთმოყვარეობის რასებს შორის მეგობრობის პრინციპების მიხედვით.

ჩინეთის ამბების გამოძახილი

საპროტესტო მიტინგები ლონდონში

ლონდონი, 8 ივნისი. კომპარტიამ და დამოუკიდებელმა მუშათა პარტიამ მოაწყვეს მთელი რიგი საპროტესტო მიტინგები ინგლისის მთავრობის მოქმედების წინააღმდეგ შანხაიში.

ბატონებს არ აწყენინებს

პარიზი, 8 ივნისი. ერთა ლიგის შრომის ბიუროს საერთაშორისო კონფერენციაზე ჟენევაში, ინდოეთის, ავსტრალიის და იაპონიის მუშა-წარმომადგენლების წინადადებით, კონფერენციის მუშურმა ჯგუფმა, რომელიც გაეცნო ჩინეთის ამბებს, გადაუწყვიტა ჩინეთის მუშებს გაუგზავნოს თანაგრძნობის დეპეშა; ამასთანავე დეპეშაში გამოთქმული იქნება პროტესტი უცხოელთა მოქმედების წინააღმდეგ ჩინეთში. მაგრამ, მუშათა ჯგუფის თავჯდომარემ მარტენსმა (ბელგიის წარმომადგენელი, რეფორმისტი) წმინდა ფორმალური მოსაზრებით უარი სთქვა ამ საკითხის წამოყენებაზე კონფერენციის დღის წესრიგში.

უცხოეთში მყოფ ჩინელთა ხმა

საპროტესტო მიტინგი პარიზში

პარიზი; 8 ივნისი. შესდგა საპროტესტო მიტინგი შანხაის ამბების წინააღმდეგ. მიტინგი მოაწყვეს გომინდანის პარტიის წევრებმა, რომლებიც იმყოფებიან პარიზში, ჩინეთის კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირმა და აგრეთვე საფრანგეთის კომპარტიამ.

ტოკიოს ჩინელი სტუდენტების მოთხოვნილება.

პეკინი, 8 ივნისი. ჩინელმა სტუდენტებმა ტოკიოში გარეშე საქმეთა მინისტრს წარუდგინეს მთელი რიგი მოთხოვნილებები: **დასჯა იაპონიის წარმოებების მეპატრონეებისა შანხაიში, გაუქმება კომპენსაციისა იმ პირების ზარალისათვის, რომლებიც ექსტერიტორიალობით სარგებლობენ ჩინეთში და სხვა.**

ნიუ-იორკის ჩინელ სტუდენტთა რეზოლუცია.

ნიუ-იორკი, 8 ივნისი. ნიუ იორკის ჩინელმა სტუდენტებმა გამართეს მიტინგი, რომელზედაც მიიღეს მკაცრი რეზოლუცია ამერიკის წინააღმდეგ; სტუდენტები ამერიკას და სხვა სახელმწიფოებს ბრალს სდებენ იმაში, რომ მათ „მიმართეს შეიარაღებულ ძალას და დახვრიტეს სტუდენტები შანხაიში", დასასრულ რეზოლუცია სასტიკად კიცხავს უცხო სახელმწიფოებს ჩინეთის სუვერენიტეტის დარღვევისათვის.

ინგლისის მუშების მოთხოვნილება

მოითხოვენ ინგლისის ჯარების გაყვანას ჩინეთიდან.

ლონდონი, 8 ივნისი. მელითონეების ნაციონალური კავშირის აღმასკომი გამოქვეყნებულ განცხადებაში მოუწოდებს ინგლისის მუშებს გამოეხმაურონ ტრედიუნიონების გენერალურ საბჭოს მოწოდებას, რომელიც მოითხოვს ინგლისის ჯარების გაყვანას ჩინეთიდან.

ლონდონი, 8 ივნისი. ინგლისის ფეიქართა პროფკავშირების კონფერენციამ გამოიტანა რეზოლუცია, რომელშიაც პროტესტს აცხადებს, რომ შანხაიში გამოყენებულ იქნენ ინგლისის ჯარები, მოითხოვს მათ გამოწვევას.

დამოუკიდებელ მუშათა პარტიის დეკლარაცია

ლონდონი, 8 ივნისი. ინგლისის დამოუკიდებელმა მუშათა პარტიამ გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ ჩინეთის მუშების აჯანყება სავსებით საფუძვლიანია შრომის საშინელი პირობების გამო ჩინეთში.

მუშათა პარტია მოითხოვს შეიარაღებულ ძალების გამოწვევას, აღნიშნავს, რომ უცხოეთის სახელმწიფოებს არავითარი უფლება არ აქვთ დაიკავონ ჩინეთის ქალაქები. მუშათა პარტია მოითხოვს აგრეთვე ექსტერიტორიალობის საკითხის გადასინჯვას და ჩინეთის ხალხისათვის თავისი საქმეების დამოუკიდებლად გაძღოლის უფლების უზრუნველყოფას.

ჩინეთის ერთადერთი მეგობარია საბჭოთა კავშირი!

კამპანია ჩინეთის ხალხისათვის დახმარების სასარგებლოდ.

ხარბინი. 8 ივნისი. საბჭოთა გაზეთმა „ეხო"-მ დაიწყო კამპანია ჩინეთში იმპერიალისტების მსხვერპლთა დახმარების სასარგებლოდ. **პირველ დღეს საბჭოთა მუშაკებისა და მოსამსახურეთა კოლექტივისაგან შემოვიდა შემოწირულება ათას დოლარზე მეტი.** მთელი საბჭოთა კოლონია ხარბინში და აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის მთელი ხაზის მუშები აწარმოებენ კამპანიას ჩინეთის ხალხისათვის დახმარების გაწევის სასარგებლოდ.

რას სთხოვს ჩინეთის ხალხი ამხ. კარახანს.

პეკინი. 8 ივნისი. კარახანი, როგორც დიპლომატიური კორპუსის უხუცესი, მრავალრიცხოვან საპროტესტო დეპეშებს იღებს ჩინეთის ყველა კუთხეებიდან; მოსახლეობა სთხოვს კარახანს, რომ ეს დეპეშები გადაეცეს დანარჩენი სახელმწიფოების დიპლომატიურ წარმომადგენლებს. უცხო დიპლომატები მეტად აღელვებული არიან ამ გარემოებით.

ჩინეთის ხალხი კმაყოფილია საბჭოების თანაგრძნობით.

პეკინი. 8 ივნისი. სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს მოწოდება გადაბეჭდა ჩინეთის ყველა გაზეთებმა და მან დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ჩინეთის ხალხში.

ხელები შორს ჩინეთისაგან

კომინტერნის აღმასკომის, პროფინტერნის აღმასრულებელ ბიუროს და ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის მოწოდება

მოსკოვი, 8 ივნისი. კომინტერნის აღმასკომმა, პროფინტერნის აღმასრულებელმა ბიურომ და ახალგაზრდათა კომუნისტურ ინტერნაციონალის აღმასკომმა ჩინეთის ამბების გამო მიმართეს მოწოდებით მსოფლიოს მუშებს, გლეხებს და ყველა მშრომელთ. მოწოდებაში ნათქვამია:

„მიმდინარე წლის მარტში ჩინელმა ფეიქრებმა, რომლებიც მუშაობენ იაპონელების საფეიქრო ფაბრიკებში შანხაიში, გადასწყვიტეს თავი დაეღწიათ აუტანელ ტანჯვისათვის, გამოაცხადეს გაფიცვა და მოითხოვდენ თავისი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

აპრილში ამ გაფიცვას მხარი დაუჭირეს ჩინელმა მუშებმა იაპონელების ფაბრიკებში ცინდაოში, ჩინეთის პროვინციაში—შანდუნში. **იაპონელი მრეწველები იძულებული გახდენ დათმობაზე წასულიყვნენ მუშათა მასებს ზეგავლენით.** შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ 9 მაისს გაფიცვა დამთავრდა მუშების გამარჯვებით. **მაგრამ ამ დროს იაპონიიდან მიღებულ იქნა ბრძანება ამ დათმობათა გაუქმების შესახებ.**

ამ დახმარებით გათამამებულმა იაპონელმა მტაცებლებმა **29 მაისს ცინდაოს უიარაღო მუშებს მოუწყვეს ისეთი სისხლისმღვრელი ხოცვა-ჟლეტა რომელიც თავისი საზიზღარი ვერაგობით, შეიძლება შევადაროთ პეტერბურგის მუშების ამოჟლეტას მეფის მთავრობის მიერ 1905 წ. 9 იანვარს.**

29 მაისის ხოცვა-ჟლეტამ ცინდაოში ჩვენს თვალწინ მოძრაობაში მოჰყავს ჩინეთის მშრომელთა მრავალმილიონიანი მასები. ის მოუწოდებს მოქმედებისაკენ ამ ვეებერთელა ქვეყნის ღრმად მიძინებულ რევოლიუციონურ ძალებს.

მთელ ჩინეთს მოედო საშინელი აღშფოთების ტალღა, გამოწვეული მუშების მუხანათურად ამოჟლეტით. მეორე დღესვე, 30 მაისს, ხალხის მრავალრიცხოვანი მასები, მათ შორის რევოლიუციონური სტუდენტობა და 23 სასწავლებელი, **კომპარტიის ხელმძღვანელობით და გომინდანთან ერთად, გამოვიდენ შანხაის** ქუჩებში სასტიკი აღშფოთებით და პროტესტით გათავხედებულ იმპერიალისტების საზიზღარ ვერაგობის წინააღმდეგ.

მაშინ, როცა იაპონიის ჟანდარმერია ხვრეტდა ცინდაოში უიარაღო მუშებს, ინგლისელების და ამერიკელების პოლიციამ შანხაიში, თითქოს წინდაწინვე შეთანხმებით, იკისრეს იმ დემონსტრანტების დახვრეტა, რომლებიც გამოსთქვამდენ თავის თანაგრძნობას ცინდაოს მუშებისადმი და პროტესტს უცხადებდენ იაპონიის იმპერიალიზმს, რომელიც ხვრეტს მუშათა მასებს „დამოუკიდებელ ჩინეთში" ისე მუხანათურად, როგორადაც ამას ვერ გაბედავს თავის ქვეყანაშიაც.

იმ დროს, როცა მთელი მსოფლიოს მუშათა კლასმა წამოაყენა ლოზუნგი „ხელები შორს ჩინეთისაგან", საერთაშორისო ბირჟის მტაცებლები თითქოს სასიცილოდ იგდებენ მსოფლიო პროლეტარიატის ამ მოთხოვნილებას და კიდევ უფრო მაგრად უჭერენ ხელებს ყელში ჩინეთის ხალხს. **შანხაის ნავთსადგურში უკვე გადასხეს ინგლისის, ამერიკის და იტალიის ჯარების 2 ათას კაცისაგან შემდგარი რაზმი. საერთაშორისო იმპერიალისტები თავს უყრიან ჩინეთის ნავთსადგურებთან სამხედრო გემებს, მათი შორსმსროლელი ზარბაზნების ლულები მიშვერილია მშვიდობიან ქალაქებისაკენ, ისინი ამზადებენ ახალ სადესანტო ჯარებს გადასასხმელად. ეს ნიშნავს საომარ მოქმედების დაწყებას, ახალი სისხლისმღვრელი ომის დასაწყისს, აშკარა შეიარაღებულ ინტერვენციას.**

მაგრამ შეუჩერებლად იზრდება ჩინეთის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობაც. რამდენად უფრო ავიწროებს დასავლეთის მუშებს მსოფლიო კაპიტალი, მით უფრო მეტ იმედს აძლევს მათ აღმოსავლეთის ჩაგრულ მილიონებს ეს მოძრაობა, რომელიც მეორე მხრიდან უთხრის ძირს კაპიტალიზმის ბატონობას, რომელიც ერთნაირად უხუთავს სულს დასავლეთის მუშათა მასებს და აღმოსავლეთის მშრომელებს.

დაეხმარეთ ყოველივე ძალღონით ჩინეთის მუშების ბრძოლას. მოითხოვეთ უცხოელების ჯარების გაყვანა ჩინეთიდან, მაროკოდან და ყველა ახალშენებიდან და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებიდან. გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას, რომელიც განთავისუფლებს კაპიტალის ყველა ტყვეებს და მონებს აღმოსავლეთში და დასავლეთში".

ომი მაროკო[illegible]

აჯანყებულები ზოგ ადგილებში შეტევაზე გადავიდენ

საფრანგეთის კომპარტიის დევნა ანტიმილიტარისტულ [illegible]

საფრანგეთის ჯარების -სასტიკი დამარცხება

მდგომარეობა ფრონტზე

პარიზი. 8 ივნისი. ჰავასის სააგენტო მაროკოს დედა-ქალაქიდა-ფეციდან იტყობინება შემდეგ:

5 ივნისს რიფებმა იერიში მიიტანეს საფრანგეთის საგუშაგოზე ბიბანთან. ცენტრში საფრანგეთის რაზმებმა გაანთავისუფლეს საგუშაგოები სიმაგრეების აფეთქების შემდეგ. 6 ივნისს მარჯვენა ხაზზე სწარმოებდა სასტიკი ბრძოლა.

ფრანგ კომუნისტ ქალების პროტესტი.

პარიზი, 8 ივნისი. კომუნისტ ქალების დელეგაციამ გადასცა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს პროტესტი საფრანგეთის სამხედრო ოპერაციების წინააღმდეგ მაროკოში.

პირში ბურთს სჩრიან.

პარიზი, 8 ივნისი. საფრანგეთის კომპარტიის ბრძოლა მაროკოს ომის წინააღმდეგ ძალიან აღელვებს საფრანგეთის მთავრობას. **მთელ რიგ ქალაქებში გაჩხრიკეს კომპარტიის აქტიური მუშაკები. ჩამოართვეს მოწოდებები და სააგიტაციო პლაკატები. დაპატიმრებული არიან მრავალი მუშები ომის საწინააღმდეგო მოწოდებების გავრცელებისა და დარიგებისათვის.**

წითელი არმია და იმპერიალისტების არმია.

პარიზი. 8 ივნისი. დეპუტატთა პალატაში კამათის დროს საფრანგეთის პოლიტიკის შესახებ მაროკოში კომუნისტმა კორნავენმა განაცხადა რომ სამხედრო სამინისტროს განზრახული აქვს გადასცეს კერძო მრეწველობას სახელმწიფო არსენალები. კომუნისტმა ბრანტონმა მხარი დაუჭირა სოციალისტ პოლ კონსტონის შეკითხვას იმ სასტიკი მოპყრობის შესახებ, რომელსაც განიცდიან ფრანგი ჯარისკაცები აფრიკაში. **მან დაუპირისპირა წითელი არმიის აღმზრდელობითი მნიშვნელობა იმ მოპყრობას, რომელსაც განიცდიან ფრანგი ჯარისკაცები.** ბრანტონის გამოსვლის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადა პალატის თავმჯდომარემ ერრიომ.

მტაცებელთა შეთანხმება.

პარიზი, 8 ივნისი. ჰავასის სააგენტო იტყობინება მადრიდიდან:

გამოქვეყნებულია ოფიციოზური ცნობა საფრანგეთ-ესპანეთის შეთანხმების პერსპექტივების შესახებ. შეთანხმება შეეხება თანამშრომლობას იმ საკითხებში, რომლებიც დაკავშირებულია მაროკოს მდგომარეობასთან. შეთანხმების მიხედვით უნდა დანიშნული იქნეს ორივე ქვეყნიდან ექსპერტთა კომისია. კომისია დაუყოვნებლივ შეუდგება მუშაობას.

რიფებმა კვლავ დაიკავეს ბიბანი.

პარიზი. 8 ივნისი. თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, თუ რა დიდ მნიშვნელობას აძლევდენ ფრანგები ფორტ ბიბანის აღებას, ნათელი გახდება, რომ **მარშალი ლიოტე, როგორც სჩანს სასტიკად დამარცხდა, ვინაიდან მიღებულია ცნობა იმის შესახებ, რომ რიფებმა ხელახლა დაიკავეს ბიბანი.**

საერთოთ მდგომარეობა ფრონტზე მძიმეა. ოფიციალური ცნობებით რიფების იერიშები სასტიკია და განადგურებულია ფრანგების ბევრი სადარაჯოები უერგში.

რიფები თავდადებულად იბრძვიან.

პარიზი. 8 ივნისი. გაზეთ „ევრ"-ის კორესპონდენტმა, რომელიც გადავიდა ფრონტის ხაზზე, მოახერხა ინტერვიუს მიღება აბდელ-ქერიმის ერთ-ერთ ლეიტენანტისაგან.

ლეიტენანტმა განაცხადა, რომ **„რიფებს სჯერათ აბდელ-ქერიმის და ისინი მზად არიან სიცოცხლე შესწირონ თავისი ტერიტორიის განთავისუფლებას.** რუსეთი განთავისუფლდა მჩაგვრელთაგან, საჭიროა, რათა აფრიკა ისევ დამოუკიდებლად გახდეს. ვერაფერი ვერ შეაჩერებს ომს, სანამ მიღწეული არ იქნება სრული განთავისუფლება".

ამავე დროს ესპანეთის დირექტორიის თავმჯდომარემ დე-რივერამ აცნობა „ფიგაროს" კორესპონდენტს, რომ საფრანგეთი და ესპანეთი ყოველ ძალ-ღონეს იხმარენ რიფების ტომის დასამორჩილებლად.

პროტესტი მაროკოში ომის წინააღმდეგ.

პარიზი. 8 ივნისი. საფრანგეთის რკინისგზელთა ყრილობამ მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია მაროკოში ომის წინააღმდეგ.

რეზოლიუცია იწონებს შრომის უნიტარულ კონფედერაციის მოწოდებას ერთიან ფრონტისაკენ, რომლითაც მან მიმართა შრომის საყოველთაო (რეფორმისტულ) კონფედერაციას.

მაროკოს ომის წინააღმდეგ

კომინტერნის აღმასკომის მოწოდება

მოსკოვი. 8 ივნისი. კომინტერნის აღმასკომმა გამოუშვა მოწოდება საფრანგეთის, ესპანეთის და იტალიის მუშების მიმართ მაროკოს ამბების შესახებ. მოწოდებაში ნათქვამია:

„ავაზაკურ კამპანიამ, რომელიც დაიწყო ამჟამად საფრანგეთმა რიფების ტომის წინააღმდეგ, ისეთი ხასიათი მიიღო, რომ **შესაძლებელია წარმოიშვას სერიოზული საერთაშორისო გართულება. მაროკოს გაძარცვით დაინტერესებული არიან არა მარტო საფრანგეთი და ესპანეთი, არამედ აგრეთვე იტალია და ინგლისი. საფრანგეთი უცდის ესპანეთის დამარცხებას, რათა მის ხარჯზე დაპატრონებოდა რიფების ტერიტორიას.** როგორც 1924 წელს, ეხლაც კვლავ ლაპარაკობენ „საფრანგეთის პრესტიჟზე", რომელიც შელახეს რიფებმა. კვლავ აცხადებენ, რომ თავდამსხმელ მხარეს წარმოადგენენ რიფები, და არა „მშვიდობიანობის მოყვარე საფრანგეთი".

ინგლისი და იტალია უცდიან ხელსაყრელ მომენტს, რათა მოითხოვონ თავ-თავისი ხვედრი ნადავლი ნაციონალური პრესტიჟის გულისათვის. სოციალისტების ბელადები, რომლებიც შეადგენენ მემარცხენე ბლოკის ნაწილს და მხარს უჭერენ მთავრობას, იყვნენ ერიოს თანამონაწილენი ომის მომზადებაში და ეხლა წარმოადგენენ პენლევეს თანამონაწილეებს მის მიერ ომის წარმოების წაქეზებაში. ისევე როგორც 1914—1918 წელს, ისინი ეხმარებიან ომს საბოლოო გამარჯვებამდე სამღვთო კავშირი კვლავ დადებულია. **რენოდელი და ჟუო შეუთანხმდნენ ლუშერს და ბრიანს, რომ გარეკონ რიფები საფრანგეთის მაროკოს ტერიტორიიდან.**

ომი რიფების წინააღმდეგ არის იმპერიალისტური ომი. ეს არის ომი იმ ხალხთა დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, რომელთაც სჩაგრავენ საფრანგეთის, ინგლისის, იტალიის და ესპანეთის იმპერიალისტები. რიფები თავს იცავენ და იბრძვიან მხოლოდ დამოუკიდებლობისათვის, მხოლოდ ხალხთა თვითგამორკვევის უფლების გულისათვის.

მუშებო და გლეხებო! კომინტერნი გაცნობებს თქვენ საფრთხის შესახებ და იმაღლებს თავის ხმას. თქვენზე, და მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული ამ ხოცვა-ჟლეტის შეწყვეტა. შეერთდით, შეკავშირდით, განაცხადეთ ისეთი ძლიერი პროტესტი, **რომ თქვენმა მოღალატე მთავრობებმა უკან დაიხიონ და დაიჩქარონ ზავის ჩამოგდება რიფებთან".**

აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე

საუბარი საბჭოთა კავშირის კონსულთან შორეულ აღმოსავლეთში

ხარბინი. 8 ივნისი. „როსტა"-ს კორესპონდენტთან საუბრის დროს საბჭოთა კავშირის კონსულმა გრანდტმა განაცხადა:

„უკანასკნელი კონფლიქტი საყურადღებოა იმ მხრივ, რომ ცხადყოფს სერიოზული საბუთის უქონლობას მნიშვნელოვანი უთანხმოებისათვის. ამასთან ერთად ის ააშკარავებს, რომ მრავლად მოიპოვებიან საბჭოთა კავშირის და ჩინეთის მიმართ მტრულად განწყობილი ელემენტები, რომლებიც ცდილობენ გადაგვკიდონ ჩვენ და გაართულონ ჩვენი ურთიერთობა. **პროფკავშირების, მუშათა პრესის და პიონერთა განუწყვეტელი დევნის მიზეზი არის თეთრგვარდიელების უსირცხვილო ინფორმაცია ამ ორგანიზაციების მუშაობის შესახებ, ეხლა ჩვენ პირდაპირ დავაყენებთ ამ საკითხებს და გადავჭრით მათ ჩინეთის წარმომადგენლებთან ერთად სამართლიანად და მეგობრულად".**

ოსტროუმოვის გასამართლება

ხარბინი. 8 ივლისი. ოსტროუმოვის და სხვა თეთრგვარდიელების—რკინის გზელების პროცესზე უკვე მესამე დღეა გაცხარებული კამათი სწარმოებს დამცველებსა და სასამართლოს თავმჯდომარეს შორის.

კამათი შეეხება საკითხს, თუ რამდენად კანონიერია საქმის გადაცემა სასამართლოსათვის ან ამნისტიის გამოყენება ამ საქმისადმი.

სასამართლომ არ დააკმაყოფილა დამცველების მოთხოვნილება და შეუდგა მთავარ ბრალდებულის—ოსტროუმოვის დაკითხვას. სასამართლოს მესამე სხდომის შემდეგ საქმის გარჩევა გადაიდო 10 ივნისისათვის.

მოსამსახურეთა პირად შემადგენლობის შეცვლა.

ხარბინი, 8 ივნისი. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის იმ მოსამსახურეთა დათხოვნა, რომელნიც არ არიან ჩინეთის ან საბჭოთა კავშირის მოქალაქენი, უკვე დაიწყო. საბჭოთა კავშირის და ჩინეთის წარმომადგენელთა შეთანხმებით, დათხოვნილ მოსამსახურეთა ადგილებზე ახლების მიღების დროს უპირატესობა ჩინელ მოქალაქეებს ენიჭებათ. საბჭოთა წარმომადგენლები ყოველმხრივ დახმარებას უწევენ ჩინეთის ხალხს იმ მხრივ რკინისგზის მოსამსახურეთა რიცხვს უახლოვებენ მუკდენის ხელშეკრულებაში დაწესებულ პარიტეტს.

ფინანსიური კრიზისი საფრანგეთში

პარიზი. 8 ივნისი. დეპუტატთა პალატის მემარცხენე უმრავლესობის ფრაქციის დელეგატების და მთავრობის წარმომადგენლების თათბირზე წარმოიშვა უთანხმოება სოციალისტებსა და კაიოს შორის მთავრობის ფინანსიური გეგმების საკითხში. პრემიერმა პენლევემ და კაიომ კვლავ განაცხადეს, რომ ისინი კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან ყოველგვარ ერთდროულ გადასახადს კაპიტალზე.

უთანხმოება მდგომარეობს იმაში, რომ კაიოს საჭიროდ მიაჩნია ჯერ მიღწეულ იქნეს ბიუჯეტის წონასწორობა, ხოლო შემდეგ შეუდგენ ხაზინის გაჯანსაღებას; სოციალისტები კი მოითხოვენ ჯერ ხაზინის გაჯანსაღებას და შემდეგ ბიუჯეტის წონასწორობის მიღწევას.

ხაზინის გაჯანსაღების საკითხის სერიოზულობას აღრმავებს ის გარემოება, რომ კაიოს განცხადების თანახმად, 1925 წლის ივლისიდან დეკემბრამდე თავდება ვადა სახაზინო ვალდებულებათა 9 მილიარდ ფრანკის რაოდენობით.

გლეხთა მოძრაობა მექსიკაში

მექსიკის კომპარტიის ცეკას წინადადება

მექსიკა, 8 ივნისი. იტყობინებიან, რომ მუშათა პარტიის, აგრარიების და სოციალისტების ბლოკი საბოლოოდ დაიშალა. კომპარტიის ცეკამ მიმართა აგრარულ პარტიას წინადადებით შექმნან ერთიანი ფრონტი, რომ წინააღმდეგობა გაუწიონ გლეხების განიარაღებას, მოითხოვონ **მიწების დარიგება გლეხებისათვის და მათთვის სასოფლო-სამეურნეო იარაღების ნისიათ მიცემა, დაარსონ ნაციონალური პოლიტიკურად დამოუკიდებელი გლეხთა ორგანიზაცია და აგრეთვე გამოვიდნენ ჯარების ჩარევის წინააღმდეგ აგრარულ საკითხში.**

კომინტერნის დოკუმენტების „ფაბრიკა"

„იზვესტია"-ს წერილი

მოსკოვი, 9 ივნისი. სტეკლოვი „იზვესტიას" მოწინავეში: „კომინტერნის დოკუმენტების ფაბრიკა" სწერს:

„ადვილი შესაძლებელია, რომ დრუჟელოვსკი კიდევ დიდხანს განაგრძობდა დაუსჯელად თავის მუშაობას მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის პოლიციამ იცოდა მისი მოღვაწეობა, რომ მას თავისი ოპერაციების გაფართოებით არ შეელახა გერმანიის მთავრობის ინტერესები. გამოირკვა, რომ პოლონეთის შეკვეთით დრუჟელოვსკიმ დაამზადა დოკუმენტები, რომელიც ამტკიცებდა, რომ მატარებლის დამსხვრევა პოლონეთის „კორიდორში" მოხდა არა პოლონელ რკინისგზელების წყალობით, არამედ იგი მოაწყვეს კომუნისტებმა. აქ გერმანიის პოლიციის მოთმინების ფიალა აივსო. „მართლმსაჯულების" ხელი სწვდა „ავანტიურისტს.

ეხლა ბერლინის გაზეთები პროტესტს აცხადებენ გერმანიის პოლიციის სულგრძელობის წინააღმდეგ, რომელმა პოლიციამაც დაუშვა ბატონ დრუჟელოვსკების თავაშვებული მოქმედება.

ბერლინის პრესის მორალური აღშფოთება ძლიერდება იმ გარემოებით, რომ ფაბრიკანტები და დრუჟელოვსკები მუშაობენ გერმანიის მტრების სასარგებლოთ, ანტანტის, კერძოთ, მოკავშირეთა სამხედრო საკონტროლო კომისიის სასარგებლოთ, რის შედეგადაც გერმანიის მთავრობას უყენებენ ბრალდებას ვერსალის ხელშეკრულების დარღვევაში. სწორედ ამის წყალობით დრუჟელოვსკის ბინას თავს ესხმიან და მისი მუშაობის ხასიათი გამოაქვთ სააშკარაოზე. მთელი ქვეყნის წინაშე.

რა შეიძლება ითქვას?

მხოლოდ ერთი: „ზოგი ჭირი მარგებელია", მადლობა უნდა უთხრათ დრუჟელოვსკის იმისათვის, რომ ის მუშაობდა რა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, უყურადღებოთ არ სტოვებდა გერმანიას.

თქვენ რაღას ფიქრობთ, მკითხველო, განა დრუჟელოვსკის გამომჟღავნების შემდეგ ბურჟუაზიული პრესის სულელური კამპანია „მოსკოვის ინტრიგების" და „საბჭოთა ოინების" კაცო, შესწყდება? სცდებით".

უკანასკნელი ცნობები

აჯანყება ჩილიში

ნიუ-იორკი. 8 ივნისი. სანტ-იაგოდან მოსული ცნობით ჩილის მთავრობამ გამოაცხადა, რომ აჯანყება ჩილის ჩრდილო პროვინციებში ჩაქრობილია ჯარების საშუალებით.

ტარაპაკის პროვინციის მთავარ ქალაქ იკვიკში გამოცხადებულია საყოველთაო გაფიცვა. მუშათა ბელადებიდან ზოგი მოკლულია და ზოგი დაპატიმრებული.

ბრძოლა რევოლიუციონურ ელემენტებთან

ნიუ-იორკი. 8 ივნისი. შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა დადგენილება, რომლის მიხედვითაც „სისხლის სამართლის კანონმდებლობა ანარქიასთან ბრძოლის საქმეში“ არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას; ეს დადგენილება ამტკიცებს საბრალმდებლო განაჩენს, რომელიც გამოუტანა პირველი საფეხურის სასამართლომ უორკერს პარტიის ცეკას წევრ ბენიამინ გიტლოუს. ამ განაჩენის თანახმად გიტლოუს მისჯილი აქვს ციხეში დაპატიმრება 5-დან 10-წლამდე.

შეტაკება ფაშისტებსა და წითელ ფრონტელებს შორის

ბერლინი. 8 ივნისი. ტელტოვში, ბერლინის ახლოს, შეტაკება მოხდა ფაშისტების მსროლელთა ორგანიზაციებისა და წითელ ფრონტელებს შორის. ადგილობრივმა ჟანდარმებმა, რომელნიც დაეხმარნენ ფაშისტებს, ესროლეს ხალხს; მოკლულია 1, მძიმედ დაჭრილია 9 და მსუბუქად დაჭრილია მრავალი პირი. ამ შეტაკების მიზეზი იყო ფაშისტების მიერ ფრონტელებისათვის „წითელ ძაღლების“ დაძახება.

სულით ავადმყოფი

ბერლინი, 8 ივნისი. კობურგის ახლო ჰაუსენბერგში კალათის მკეთებელმა ბრიუნერმა, რომელსაც რაღაც უსიამოვნება მოუვიდა ოჯახში, მოჰკლა თავისი ცოლი, დედა, და, სიძე და ხუთი დისწული, რის შემდეგ თავი ამოიღრჩო.

რეპრესიები კომუნისტების წინააღმდეგ

პარიზი. 8 ივნისი. მთელ სახელმწიფოში ძლიერდება მთავრობის რეპრესიები კომუნისტების წინააღმდეგ, რომელნიც ებრძვიან მაროკოს ომს. მარსელში, მონ-ლიუკონში, ვერსალში, ტურში, პერპინიანში, პუატიეში და ნანსში აპატიმრებენ იმ პირთ, რომელნიც ავრცელებენ, ან კედლებზე აკრავენ მოწოდებებს ომის წინააღმდეგ.

ტუნისში სდევნიან კომუნისტურ გაზეთ „კომბა სოციალს“ (სოციალურ ბრძოლას). დაპატიმრებულია სამი კაცი. ზოგიერთ პირებს ასახლებენ კიდეც ტუნისიდან.

ბელგიის მთავრობამაც წაბაძა საფრანგეთის მთავრობას. ამას წინედ მან გადაასახლა 7 უცხოელი სტუდენტი ლიეჟის უნივერსიტეტისა, რომელთაც ბრალი დასდეს კომუნისტურ პროპაგანდის გაწევაში.

ეგვიპტე მონაწილეა ოსმალეთის ვალების

ლონდონი, 8 ივნისი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ინგლის—ეგვიპტის შერეულ სასამართლების მთავარმა პროკურორმა ვანდერბოშმა გამოსთქვა თავისი აზრი ეგვიპტის პასუხისმგებლობის შესახებ ოსმალეთის ვალებში. ეგვიპტის მთავრობა ამჟამად არ გრძნობს თავს პასუხისმგებლად ამ ვალებას გადახდაში. ვანდერბოშის აზრით ეგვიპტე ვალდებულია გადაიხადოს იმ ვალების ნაწილი, რაც ოსმალეთს მართებს უცხოეთის ბანკებისა.

საგარანტიო ხელშეკრულების გარშემო

პარიზი, 8 ივნისი. ჰავასის სააგენტოს ჟენევიდან ატყობინებენ: საფრანგეთს, ინგლისს და ბელგიას შორის მიღწეულია სრული შეთანხმება საკითხში, თუ რანაირი პასუხი უნდა გაეგზავნოს გერმანიას თავის წინადადებაზე საგარანტიო ხელშეკრულების დადების შესახებ.

ამ შეთანხმების მიხედვით იმ შემთხვევაში, თუ რეინის ოლქის საზღვარზე, რომელიც დაწესებულია ვერსალის ხელშეკრულებით, მოხდება თავდასხმა, ინგლისი აძლევს საფრანგეთს და ბელგიას თავის განკარგულებაში ყველა თავის სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალებს.

აღმოსავლეთის საძღვრების შესახებ ინგლისი კვლავ ხაზს უსვამს თავის ერთგულებას იმ ვალდებულებებისადმი, რომელიც გათვალისწინებულია ვერსალის ხელშეკრულებით.

პოლონეთის და ჩეხო-სლოვაკიის საზღვრები რჩება ერთა ლიგის მფარველობის ქვეშ.

გერმანია შეიძლება დაშვებული იქნეს ერთა ლიგაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გერმანია ხელმოაწერს საგარანტიო ხელშეკრულებას, რომელიც სავსებით შეეფერება ზემოდ მოყვანილ პირობებს.

პოლონეთში

რატაისკი გადადგა.

ვარშავა, 8 ივნისი. პოლონეთის შინაგან საქმეთა მინისტრი რატაისკი გადადგა.

მოსალოდნელია აგრეთვე შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის ზმულსკის გადადგომა.

სხვა და სხვა ამბები

— **მინისტრის სავარძელი მოენატრათ.** ბელგიის „მუშათა“ პარტიის ყრილობამ მხარი დაუჭირა მთავრობაში მონაწილეობას.

— **არჩევნები ავსტრალიაში.** ავსტრალიის მთავრობა დამარცხდა არჩევნების დროს სამხრეთ უელსში. მუშათა პარტიამ მიიღო 46 ხმა, ნაციონალურმა პარტიამ—35, პროგრესისტებმა—19.

— **სეპარატისტული მოძრაობა ესპანეთში.** კატალონიაში (ესპანეთი) ძლიერდება სეპარატიული მოძრაობა. ბარცელონის სხვადასხვა ადგილებში უცნობმა პირებმა ბომბები გაისროლეს.

— **აჯანყება ალბანეთში.** ალბანეთის ყოფ. პრეზიდენტის ფანნოლის მომხრეთა აჯანყება ჩააქრეს.

— **რატომ ჩაიშალა საბერძნეთ-სამხრეთ-სლავიის მოლაპარაკება.** სამხედრო სპეციალისტების აზრით საბერძნეთის და სამხრეთ-სლავიის მოლაპარაკების ჩაშლა საბერძნეთის სამხედრო სისუსტით აიხსნება.

— **მედგრად იბრძვიან.** ინგლისის ფეიქართა დელეგატების თათბირმა 240.000 მუშის სახელით ერთხმად უარყო მწარმოებლების წინადადება შრომის ხელფასის შემცირების შესახებ. თათბირმა აირჩია „მოქმედების კომიტეტი“.

— **ნანსენი საბჭოთა სომხეთში მოემგზავრება.** პირეიში (საბერძნეთი) ჩავიდა ნანსენი, რომელიც საბჭოთა სომხეთში მიემგზავრება.

— **ტერორი ბულგარეთში.** სამხედრო სასამართლომ კაზანლიში სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა ნიკოლაევს, ჩერნევს, ბეშკოვს და სემარდიევს, რომელთაც მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობა ბრალდებათ.

— **ჩემბერლენი პარიზში.** პარიზში ჩავიდა ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრი ჩემბერლენი, რომელიც ჟენევაში მიემგზავრება.

— **„შეცდნენ“.** ამერიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობა, რომ იტალიაში ფაშისტებმა სცემეს ამერიკის კონსოლს. ამერიკულ გაზეთების ცნობით, ფაშისტები თურმე „შეცდნენ“—„მათ ამერიკელი კონსული რუსი ეგონათ“.

— **რუმინელ კომუნისტების პროცესი.** 18 რუმინელი კომუნისტი, რომლებსაც რუმინეთის სამხედრო სასამართლო ასამართლებდა, გაიქცა. გაქცეულთა შორის არიან: რუმინეთის კომპარტიის ც. კ. ყოფილი წევრები დობროჯეანუ, ფაბიანი, პაუკერი. სასამართლომ გასცა ბრძანება დანარჩენ ბრალდებულთა დაუყოვნებლივ დაპატიმრების შესახებ.

ხუთშაბათს, 11 ივნისს, საღამოს 7 საათზე, თბილისის აღმასკომის დარბაზში მოწვეულია

თბილისის საბჭოს აღმასკომის გაფართოებული სხდომა

თემ-აღმასკომების თავმჯდომარეთა დასწრებით

დღის წესრიგი:

1) საბჭოთა აღმშენებლობისა და სოფელში მუშაობის შესახებ
2) კომუნალური ბანკის მოხსენება ძირითადი თანხის 1 მილიონი მანეთით გადიდების შესახებ.
2) მიმდინარე საკითხები.

თბილისის აღმასკომის ყველა წევრთა, კანდიდატთა და თემ-აღმასკომების თავმჯდომარეთ დასწრება სავალდებულოა.

ნ. 1291. 2—1

საბჭოთა ქვედა აპარატის გაჯანსაღება

საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ საქართველოს ცაკთან არსებული თათბირის მუშაობა

როგორც ჩვენს თანამშრომელს აცნობეს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში, საქართველოს ცაკთან არსებულ საბჭოთა აღმშენებლობის თათბირის კომისიების მუშაობა ამ ჟამად ისე მიმდინარეობს, რომ ის დამთავრებული იქნება ივნისის ბოლო რიცხვებში; სწორეთ ამ ხანებში გაიმართება თათბირის პლენუმი ადგილების წარმომადგენლებთან ერთად. თათბირის პლენუმის მიერ მიღებული დებულებები განსახილველად წარედგინება საქართველოს ცაკის მეორე სესიას, რომელიც შესდგება ივლისის დასაწყისში.

20 ამხანაგიდან, რომლებიც თათბირის მიერ გაგზავნილი იყვნენ მაზრებში ქვედა საფეხურის საბჭოთა აპარატის გამოსაკვლევათ, უკვე დაბრუნდა ხუთი ამხანაგი, რომლებმაც გამოიკვლიეს ოზურგეთის, ქუთაისის, შორაპანის, გორის და სიღნაღის მაზრები.

ოზურგეთის მაზრის გამოკვლევის საერთო სურათი უკვე გამოქვეყნებული იყო ადგილობრივ პრესაში. გორის და შორაპნის მაზრის გამოკვლევის საერთო შედეგები ასეთია:

შორაპნის მაზრაში შემჩნეულია სათანადო **ინსტრუქციების ნაკლებ მიწოდება** სათემო მუშაკებისათვის. უკანასკნელებს ხშირათ ნათლათ არ აქვთ წარმოდგენილი თავისი მუშაობის ამოცანები ადგილებზე. **ზოგიერთ თემებში სათემო საბჭოების პრეზიდიუმები მხოლოდ ფორმალურათ არსებობენ.** ზოგიერთი საბჭოები ხელს კიდებენ ისეთ მუშაობას, რომლის შესრულება ძნელია, თუ მხედველობაში მივიღებთ ადგილობრივ რესურსებს; მაგალითად, ზესტაფონის ქალაქის საბჭო, რომლის **დეფიციტი ყოველწლიურათ უდრის 30.000 მანეთს, სერიოზულათ ამუშავებს საკითხს თეატრის აგების შესახებ, რომელიც დაჯდება 700 000 მანეთი.** იმავე დროს ერთხელაც არ ყოფილა დასმული საკითხი არსებული საქალაქო სკოლების რემონტის შესახებ, რომლის მთელი ხარჯი არ უნდა აღემატებოდეს 5.000 მანეთს.

თბილისში დაბრუნებული ამხანაგები აღნიშნავენ, როგორც საერთო მოვლენას თითქმის ყველა მაზრებში, რომ უკანასკნელი დროის განმავლობაში **საბჭოების მუშაობაში სერიოზულათ არის ჩაბმული სოფლის თითქმის ერთადერთი ინტელიგენტური ძალა—მასწავლებლობა.** მასწავლებლობა საკმაოთ ნაყოფიერათ მუშაობს საბჭოებში, ის აქტიურ მონაწილეობას იღებს საკითხების განხილვაში, მუშაობს კომისიებში და სხვა. ამჟამათ თამამათ შეიძლება ითქვას, რომ სოფლის ინტელიგენციასა და სათემო მასშტაბის მუშაკების შორის სავსებით მეგობრული ურთიერთობაა დამყარებული. ამ ინტელიგენციას შეიძლება უწოდოთ საბჭოთა ინტელიგენცია, მისი სურვილი ხელიხელ ჩაკიდებული იმუშაოს საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად სჩანს თვითეულ ნაბიჯზე.

დამახასიათებელია, რომ გლეხობა მიტინგებიდან საგრძნობლათ **გადადის გაღრმავებულ მუშაობაზე.** არის ტენდენცია საკითხების განხილვისა არა სათემო მასშტაბის კრებებზე, არამედ ადგილობრივ, სასოფლო კრებებზე და ეს მოვლენა სტიქიურათ ფესვს იდგამს ყველგან.

ადგილები ესალმებიან ძველი ადმინისტრატიული დაყოფის შემოღებას (თემები) და ამაში ხედავენ იმ პრინციპის ნამდვილ განხორციელებას, რომელიც გულისხმობს ხელისუფლების დაახლოებას ადგილებთან.

შორაპნის მაზრის გამოკვლევის დროს ხუნევის თემში გაგზავნილმა ამხანაგებმა აღმოაჩინეს **რევოლიუციონური კანონიერების დარღვევის მთელი რიგი შემთხვევები.** გამოირკვა სათემო აღმასკომის თავმჯდომარის ლომიძის მთელი რიგი ბოროტმოქმედებანი: მას ბრალათ ედება გლეხების ცემა, მექრთამეობა, ფულის გამოტყუება და უკანონო დაპატიმრების მოხდენა. სხვათა შორის ლომიძემ იმ მიზნით, რომ არ დაზარალებულიყო ერთერთი მისი მეგობრის ვენახი, რომელზედაც უნდა გაევლო გზას თემიდან ერთ მახლობელ სოფელში, დაბეჯითებით მოითხოვა, რომ გზა გაყვანილი ყოფილიყო სხვა მიმართულებით. გლეხობა არაფერს არ ამბობდა ლომიძის „საგმირო“ საქმეების შესახებ, რადგან ეშინოდა მისი. ლომიძეს ოთხი წლის განმავლობაში სხვადასხვა პასუხსაგები თანამდებობები ეჭირა თემში. ამ ჟამათ ის **დაპატიმრებულია.**

მისი ბიძაშვილი, იგივე თემის აღმასკომის მდივანი, გლეხებს 25 პროც. მეტს ახდევინებდა სასოფლო-სამეურნეო გადასახადს.

იმავე თემში ინსტრუქტორი შეხვდა თავისებურ „საბჭოთა მღვდლებს“. გარდა ცალკე გადასახადისა მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერის დროს, ერთერთ სათემო მუშაკს მიცემული ჰქონდა „მმაჩ“-ის ბლანკები, რომელთა შევსებაში ეს მუშაკი გლეხებს ახდევინებდა 1 მან. და 50 კ.—2 მან. სათემო აღმასკომის მდივანი და „საბჭოთა მღვდელი“ აგრეთვე **დაპატიმრებული არიან.**

ერთერთ ღონისძიებათ რევოლიუციონური კანონიერების განმტკიცებისათვის გორის მაზრის გამოკვლევა ასახელებს იმას, რომ აკრძალული იქნეს **სარევიზიოთ ჩასულ ამხანაგების გაჩერება თავმჯდომარეებთან.**

გორის მაზრის გამოკვლევა ნათელყოფს, რომ აუცილებელია **დაჩქარებული იქნეს მიწის რეფორმის გატარება,** რომლის ნიადაგზე გლეხები უკმაყოფილებას აცხადებენ.

რევოლიუციონური კანონიერების დარღვევის შემთხვევებს მაზრაში ადგილი არ ჰქონია, სულ მცირე დარღვევასაც კი სამაზრო ხელისუფლება სასწრაფოთ გამოეხმაურებოდა ხოლმე სათანადო ღონისძიებების მიღებით.

ქვედა საფეხურის საბჭოთა აპარატის მდგომარეობა გორის მაზრაში დამაკმაყოფილებელია. სამაზრო ხელისუფლების წარმომადგენლები სისტემატიურათ მიდიან თემებში.

მოსახლეობა საკმაოთ ფართოთ ებმება საბჭოების მუშაობაში საერთო კრებებზე, სადაც იხილავენ მიმდინარე საკითხებს, და აგრეთვე აქტიურ მონაწილეობას იღებს სათემო საბჭოების სექციების მუშაობაში.

სხვათა შორის, გორის მაზრის გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ მაზრის სკოლების შენობები საკმაოდ დაზიანებულია და მათ შეკეთება ესაჭიროებათ.

პარტიული ცხოვრება

ს. კ. პ. ც. კ. საორგანიზაციო განყოფილებისგან

საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხ. ამხ. (რომელთაც გაათავეს ც. პ. ს. და საბჭ. და პარტმუშაკების სკოლა), გამოცხადდნენ საორგანიზაციო განყოფილებაში ოთხშაბათს 10 ივნისს 1925 წ. დილის 10 საათზე.

1) ტურახიანი, 2) როსნაძე, 3) კობახიძე, 4) ხუბიეროვი, 5) მეხაიშვილი, 6) დოლიძე, 7) გოგოლაშვილი, 8) მეშველიანი, 9) ზაქარიანი, 10) სირკინი, 11) აკოპოვი და 12) პოლოსოვი.

საქ. კომპარტიის თ. კ. საორგ.
განყ. მდივანი: **ყაყიჩაშვილი.**

პარტ-მეცადინეობის შესახებ

(წერილი სამტრედიიდან)

სამტრედია ერთი თვალსაჩინო მუშურ-გლეხური ცენტრია, სადაც მრავალი მუშა-მოსამსახურეა დაბანდებული დეპოში, რკინის გზის სხვა დარგებში, საბჭოთა დაწესებულებებში, კოოპერატივში, პროფკავშირებში და სხვ.

პარტ-ამხანაგების რიცხვიც ბლომათ არის. მარტო ქალაქის უჯრედი შესდგება 50 ამხანაგისაგან.

უნდა აღვნიშნოთ, რომ პარტ-ცოდნის მხრივ ძლიერ ჩამორჩენილია მთელი რაიონის ამხანაგების უმრავლესობა. მათში მეცადინეობა არ სწარმოებს, ანდა მიმდინარეობს ძლიერ სუსტათ. მაგ. უწინ იყვნენ მიმაგრებული ამხანაგები ამა თუ იმ უჯრედზე სამეცადინოთ, ეხლა კი ასე არ არის.

სამაზრო პარტკომის მიერ შემუშავებულია პარტ-მეცადინეობის პროგრამა და მიღებული რაიკომის მიერ. უკვე დაიწყო მისი ცხოვრებაში გატარება.

აღსანიშნავია, რომ პარტ-ამხანაგები ძალიან ნაკლებად ესწრებიან კრებებს, ან სრულიად არ ესწრებიან. ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია—უჯრედი შესდგებოდეს 40 და მეტი კაცისაგან და კრებებს კი ესწრებოდეს ნახევარი და ხშირათ არც ნახევარი. მრავალჯერ იყვნენ ამხანაგები გაფრთხილებული რომ დასწრებოდნენ კრებას... ერთხელ სიებიც კი შეადგინა ქალაქის უჯრედმა, ვინც ზედიზედ გამოაკლდა 3 და 4 კრებას უმიზეზოთ.. მაგრამ ამას შედეგი არ მოყოლია. საჭიროა აწი მაინც, როდესაც სერიოზულათ მოვკიდეთ ხელი ჩვენი ჩამორჩენილი ამხანაგების პოლიტიკურათ ამაღლების საქმეს, იქნას მიღებული გადამჭრელი ზომები და ყველა ესწრებოდეს პარტ-კრებებს. კომპარტიას არ ესაჭიროება ბალასტები და მათ ადვილათ ჩამოიცილებს. ეს ასეც უნდა მოხდეს.

მაგრამ აღსანიშნავია ერთი გარემოება—სოფლის უჯრედებში ვერ გავატარებთ ასეთ წესებს, რადგან ჩვენი პარტია იქ შესდგება გლეხებისაგან, რომლებიც ყანებში სამუშაოზე არიან გასული.. სოფლათ უნდა ვაწარმოოთ აღმზრდელობითი მუშაობა და ამასთან ყოველთვის კვირა უქმე დღეებში და არას შემთხვევაში საქმის დღეს...

ყოველივე ამის შემდეგ პარტ-მეცადინეობის საქმე დადგება თავის დონეზე და არ გვეყოლება პარტიაში ისეთი ელემენტები, რომლებიც ვერ იცნობენ ვერც წესდებას ჩვენი პარტიისას და ვერც მუშათა მოძრაობის ისტორიას.

ხან-კანი.

დახმარება გლეხის მეურნეობას

საქართველოს ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ წარმოდგენილი 1925 წლის აპრილის კონიუნქტურული მიმოხილვა. მასთან საბჭომ საჭიროდ სცნო გატარებულ იქნას შემდეგი ღონისძიებანი:

1) რადგან სათესლე პურის ნაკლებობა კვლავ საგრძნობია, რასაც შეუძლია გამოიწვიოს ნათესების სივრცის შემცირება, დაევალოს საქ. სასოფლო-სამეურნეო ბანკს, აღმოუჩინოს მოსახლეობას სასწრაფო დახმარება სათესლე მასალის შეძენაში (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში).

2) აღმოუჩინოს ყოველგვარი დახმარება ბამბის კამპანიის ჩატარების საქმეს და დაევალოს მებამბეობის კომიტეტს მიიღოს სათანადო ზომები ამ კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად (როგორც მაგ., ბამბის ნარგავების სივრცის გაფართოება, მებამბეთათვის თავის დროზე ავანსებისა და პურეულის მიწოდება და სხვ.).

3) დაევალოს საქ. „აბრეშუმ“-ს მიიღოს საჭირო ზომები საბრეშუმო კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად, რისთვისაც მისცეს მას საჭირო თანხა კრედიტისათვის, როგორც აბრეშუმის პარკის დასამზადებლად, ისე ადგილობრივი აბრეშუმის ჭიის მეთესლეობის განსავითარებლად.

4) დაევალოს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატს სამთა-ბარო სეზონის დაწყების გამო, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს საზაფხულო საძოვრებზე მოსალოდნელ საქონლის ჭირის გავრცელებას და მიიღოს მის წინააღმდეგ სათანადო ზომები, აგრეთვე დაამზადოს და მოიმარაგოს საჭირო წამლეულობა.

5) ეთხოვოს ა.-კ. რკინის გზათა სამმართველოს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს საქართველოს ხაზზე ადგილობრივი საქონლის დატვირთვისათვის ხელის შეწყობას და მიიღოს საჭირო ღონისძიებანი ზოგიერთ რაიონებში შემჩნეული საქონლის დატვირთვის შეზღუდვის წინააღმდეგ. უკეთუ ამა თუ იმ სახელმწიფო, ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახელზე მოსული მასიური ტვირთის გადატვირთვა ფერხდება ადრესატის მიზეზით, აცნობოს ამის შესახებ საქ. სახალხო კომისართა საბჭოს, საჭირო ზომების მისაღებად.

ჭლექის სამდღეურისათვის

ძვირფასო ამხანაგებო!..

თბილისში და მის მაზრაში ისე, როგორც წითელ მოსკოვში და საბჭოთა კავშირის ყველა დიდ ცენტრებში, ამ დღეებში მოეწყობა „ტუბერკულოზის სამდღეური“.

ტუბერკულოზის სამდღეური მიზნად ისახავს პროლეტარიატის საშინელ სენთან — ტუბერკულოზთან ბრძოლაში მუშების და გლეხების ფართე წრეების ჩაბმას და აგრეთვე სახელმწიფოს დახმარებით და საზოგადოებრივ ძალთა შეკავშირებით ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ზომების ცხოვრებაში განხორციელებას.

რომ ეს მეტად მნიშვნელოვანი დღეები სასურველად ჩატარდეს, საჭიროა ყოველგვარი საზოგადოებრივ კერძო, თუ სახელმწიფოებრივ, სავაჭრო-სამრეწველოების კულტურა-განათლების და სხვა დაწესებულებათა და მცხოვრებთა თანაგრძნობა-დახმარება.

სამდღეურის მომწყობი ცენტრალური კომიტეტი იმედს გამოსთქვამს, რომ ამ მოწოდებას გამოეხმაურება ფართე საზოგადოება და თავიანთი წვლილის გაღებით მოგვცემენ საშუალებას დავეხმაროთ ტუბერკულოზით დაავადებულთ, ვებრძოლოთ ამ საშინელ სენს.

ტუბერკულოზის სამდღეურის მომწყობი ცენტრალური კომიტეტის
თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**
წევრები: **ა. რუხაძე.**
ქ. კამალოვი.

განათლების ფრონტზე

გამოცდები უმაღლეს სასწავლებლებში

ამა წლის შემოდგომაზე უმაღლეს სასწავლებლებში პროფგანათლების მთავარ მმართველობის განკარგულებით დანიშნულია გამოცდები: სახელმწიფო უნივერსიტეტში—პედაგოგიურ, სასოფლო-სამეურნეო, პოლიტეხნიკურ და საექიმო ფაკულტეტებზე, შემდეგ საგნებში: ქართულ ენაში (წერითი), მათემატიკაში, (ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია), ფიზიკასა და საზოგადო მეცნიერებაში. ხოლო სოციალ-ეკონომიურ ფაკულტეტზე იმავე საგნებში ფიზიკის გამოკლებით.

ლენინის სახელობის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში: რუსულ ენაში (წერით), მათემატიკაში (ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია), ფიზიკასა და საზოგადო მეცნიერებაში.

წველა-დღვების მეურნეობის სკოლა.

ახლო ხანში დუშეთში გაიხსნება წველა-დღვების მეურნეობის სკოლა, რომელიც მოწაფეებს სპეციალურად შეასწავლის ყველისა და კარაქის დამზადებას.

მევენახეობა-მეღვინეობის სკოლა.

განათლების კომისარიატის სამეცნიერო-სატეხნიკო სექციამ დაადგინა მომავალ სასწავლო წლიდან სოფ. მუკუზანში გახსნას მევენახეობა-მეღვინეობის ტეხნიკუმი.

ქრონიკა

— **ქართველ ექიმთა საზოგადოებაში.** ხუთშაბათს 11 ივნისს საღამოს 8 საათზე საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში შესდგება მორიგი კრება ქართველ ექიმთა საზოგადოებისა. 1. დოცენტი მ. ასათიანი—პროფ. შარკოს ხსოვნისათვის. 2. ექ. მ. კოკოჩაშვილი—ილეოთორაკოპაგუსის შემთხვევა. 3. პროფ. ვირსალაძე—ზოგიერთი ახალი ქიმიო და ფარმაკოტერაპევტიული მიღწევანი გერმანიაში.

— **„ქართული წიგნი“.** ივნისის 12-ს საღამოს 7 საათზე თბილისის კომუნალურ ბანკის შენობაში (პუშკინის ქ. № 3) შესდგება ბეჭდვითი საქმის საპაიო ამხანაგობა „ქართულ წიგნის“ წევრთა დამფუძნებელი კრება. წევრებს ევალებათ თან იქონიონ საკვიტანციო ბარათები მათ მიერ შეძენილ პაიებისა.

— **დახმარება კურორტ „შოვი“-ს.** თბ. საბირჟო კომიტეტმა კურორტ „შოვის“-ს საამშენებლო კომიტეტს დახმარების სახით გადასცა 1000 მანეთი.

— **კერძო კაპიტალის გამოსაყენებლათ.** საქართველოს ფარგლებში საქონლის ბრუნვის გაფართოებისა და კერძო კაპიტალის გამოყენების მიზნით სავაჭრო-საფონდო ბირჟასთან არსდება კერძო ვაჭართა სექცია.

— **მიწების მორწყვა.** ამ ჟამად საქართველოში სწარმოებს მუშაობა 5—7 ახალი არხის გასაყვანად. არხები დაახლოვებით მორწყავს 39 ათას 200 დეს. მიწას.

— **პენსიები.** გასული თვის განმავლობაში თბ. დამზღვევმა სალარომ შრომის დასახიჩრებულებს და ქვრივ-ობლებს მისცა პენსია 14 ათას 944 მ. რაოდენობით.

— **ახალდაბადებულთათვის** მაისის თვეში დამზღვევმა კასამ დაზღვეულებს მისცა 7,887 მ.

— **ჯარიმების გადახდევინება.** დასაზღვევ გადასახადის თავის დროზე შემოუტანლობის გამო მაისში თბ. დამზღვევ სალაროს ჯარიმის სახით შემოკიდა—3,105 მანეთი 79 კაპ.

— **ფიზიოლოგიურ** და ფსიქოტეხნიკურ ლაბორატორიებისათვის საჭირო იარაღების შესაძენათ შრ. სახ. კომისარიატმა მოსკოვში მიავლინა ამხ. ჯიჯაძე.

— **წარმოებების გამოკვლევა.** შრ. სახ. კომისარიატმა დაამთავრა ჭიათურის, ტყიბულის, ბაღდადის და წამლარას ხევის წარმოებების გამოკვლევა, და ამ ჟამად იმუშავებს ზომებს აღნიშნულ წარმოებებში შემჩნეულ ნაკლულოვანებათა მოსასპობათ.

— **საზოგადო სამუშაო.** საქ. საგეგმო კომისიის წინადადებით მიწად-მოქ. სახ. კომისარიატი იმუშავებს ტყის საცდელ-საკულტურო საქმეში საზოგადო სამუშაოების მოსაწყობ გეგმას.

— **ჭაობიანი ადგილები.** საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს ცნობით, საქართველოში ითვლება სულ 6 მილიონი დესეტინა მიწა, რომელთაგან ნახევარი მილიონი დესტინა ჭაობიანია.

— **ცხენთა საჯიშოების** სამმართველომ დაადგინა 20 ივნისს სენაკის მაზრაში მოაწყოს დოღი.

— **წარმოკავშირთან** ერთად მეფუტკრეობის ბიურო ახლო ხანში მოახდენს რესპუბლიკაში არსებულ მეფუტკრეთა ამხანაგობების და კოოპერაციის გამოკვლევას.

— **თბ. აღმასკომმა** დაამთავრა თბილისის მაზრის მცხოვრებთა კვების გამოკვლევა.

— **ქ. სასაკლაოზე** მაისის განმავლობაში დაიკლა 16,011 სული საქონელი, 5 ათასით მეტი, ვიდრე აპრილში.

— **ტრამვაის დირექციამ** სხვადასხვა ქარხნებს შეუკვეთა 11 ვერსის მანძილზე სამყოფი ტრამვაის ზოდები.

ტრამვაი თბილის-კოჯორს შორის

თბილისის აღმასკომთან შემდგარმა ინჟენერთა სპეციალურმა კომისიამ, რომელშიაც შედიოდენ ინჟენრები: ჰიჯინაძე, მიქელაძე, აბაშიძე, ხ. ხაყატუროვი და ელექტრონული ტრესტის ცენტრალური რაიონის წარმომადგენელი, განიხილეს თბილის-კოჯორს შორის ტრამვაის გაყვანის პროექტები. კომისიამ მიზანშეწონილად სცნო მესამე ვარიანტით გზის გაყვანა (ვაკე-წყნეთი-კიკეთი-კოჯორი) და დაადგინა ვარიანტის საბოლოო დამტკიცების საქმე და გზის გასაყვანათ მუშაობის დაწყების საკითხი გადაიტანოს თბ. აღმასკომის საგეგმო კომისიაში.

ხელოვნება

— **გიორგი ქუჩიშვილის საღამო.** დღეს, 10 ივნისს, რუსთაველის თეატრში დანიშნულია გ. ქუჩიშვილის საღამო.

— **წითელი არმიის და ფლოტის ბაღი.** დღეს—არსენ ჯორჯიაშვილისათვის ძეგლის ასაგებათ—საღამო სეირნობა. თეატრში „ცხვრის წყარო“. ესტრადაზე—„ლურჯ ხალათიანთა“ საღამო. ბაღში—სურათი „არსენ ჯორჯიაშვილი“.

— **ახალი რომანი.** ამ ხანებში გამოვა პროლეტარულ პოეტ ხლიო ბუმერანგ-მაშაშვილის რომანი: „ხორიო ხოგორიო“—ცალკე წიგნათ.

— **სურათების გამოფენა.** პროფ. მოსე თოიძის სახალხო სამხატვრო სტუდიის სურათების გამოფენა უფასოდ იქნება 15 ივნისამდე დღისით 10—2 საღ. 7—9 აკადემიაში გრიბოედოვის ქუჩა 22, ორგანიზაციულად მოსულ ჯგუფებს მიეცემათ განმარტება.

პატარა ფელიეტონი

ჩინელის თავის მოპარსვა-ევროპიელის „სჩოტები“.

> წყლის სათავეში იდგა ბატკანი,
> ყბადაღებული ქვემოდ კი მგელი;
> ბატკანს უშარა. წყალს რად მიმღვრევო,
> და მასრი კბილით გამოსჭრა ყელი.
>
> ძველი იგავი.

ამბავი ესე დეპეშის,
უხვად ნაწერი ნოტები;
იმპერიალისტ—ანტანტის
უკვე გახსნილი ფრონტები,
ჩინელის თავის მოპარსვა,
ევროპიელის „სჩოტები“,
ქვეყნის მასხარად აგდება—
მოდი ნუ გაბოროტდები!

—

ეს ყველამ იცის ჩინელი
რა შრომას მოუცავ-ხულია!
ტიებზე მიწა დაყრილი
ისიც კი გადახნულია.
ჩაი და ბრინჯი იქ მოდის,
განთქმული ბამბეულია.
მატყლი და ტყავი ჩინური
ან კი რა დასაწუნია!

—

ამერიკელმა დურბინდით
გადაიხედა ზღვარები:
ჩინეთის კედელს მიადგა,
უნდა შეელო კარები,
უხვმა სიმდიდრემ, დოვლათმა
მოუჭრა ხარბი თვალები!

—

იმედი მისი გაცრუვდა,
იქ იდგა ალბიონელი;
ეს არ გეგონოთ ვაჭარი
საქართველოდან ხონელი
ან კვაჭი კვაჭანტირაძე,
მიშამ შეაქო რომელი!
ეს იყო ბრიტანეთიდან,
კაპიტალისტი მძრომელი.
სახელად მგელ-სონ, იანკა
მხარს უჭერს იაპონელი.
უნდა სიმდიდრე ჩინეთის,
დაიმონავოს მშრომელი.

—

ჩინელებს ისე მიჰკრობდნენ,
როგორც ბაღლიჯო—ტკიპები;
იმდენი სისხლი ეწოვნათ,
გამობეროდათ ღიპები.
ამერიკელმა შესძახათ:
„ვინა ხართ, ან რა ტიპები?
„თუ საქურდავად მოჰსულხართ,
„მეც კი მაგ დარგში ვიქნები;
„სჯობს ამხანაგად მიმიღოთ,
„მუდამ ერთგული ვიქნები!

შექმნათ დიდი თათბირი,
ნოტა დასწერეს ნოტაზე;
„სჩოტები“ წარმოადგინეს,
არ თანხმდებიან ცოტაზე.
ინგლისელს ვერვინ აჯობა,
უსტარი ასე ადგინა;
თაფლის სიტყვები მოძებნა
და პარლამენტში აფრინა:
„ანგარიშებში გავსწორდეთ,
„მომეც სიუგური და ბინა!

—

„ბრძანდებით უკულტურონი,
„გკიდიათ თმების კუდები;
„ბევრს თქვენგანს თავი მოვპარსე,
„დავცალე ოქროს გუდები!
„მივეც გლეხს პორფიუმერია,
„ნაქები, არა ცუდები.

—

„რაც კიდევ მიჩუქებია,
„ის იყოს თქვენზე ალალი!
ჩოტკს გაჰკრეს ხელი, გამოჰკრეს
და ჯამი შესდგა მრავალი!
იმდენი ვალი დაადვეს,
საფრთხე ექმნოდა საზარი!
აინ-ჰოიხსაც მივიღენ,
ჰფიქრობენ: დარჩით ბაზარი!
ასეთი „სჩოტი“ ზედმეტი
„Над Курой“-შიც არ არის!

—

ჩინეთმა სტკიცათ უარი,
გართულდა დიპლომატია;
აღელდა ხალხი მშრომელი,
დასწერა თავის ხარტია
და შეუთვალა ევროპას:
თავის მოპარსვა ფანდია!
თქვენ გინდათ სხვაფრივ გაგვპარსოთ,
მახე დაგვიგოთ, ხლართია.
შარსა გვდებთ, ჩვენ არ დაგითმობთ,
ეძებთ, რა დაგიფანტიათ!
თქვენი რეცეპტი მოძველდა,
ის აზიაში „ბრაკია“,
თქვენს შარზე თქმულა ანდაზა
„მლაშეს მარილი აკლია!“

ფიდო ლამია.

დოღი

მეშვიდე დღე, კვირა, 7 ივნისი

ამინდი კარგია, ქრის საკმაოთ ძლიერი ქარი.

1 დ ო ღ ი: საბარიერო ჯილდო 60 მანეთი. დისტანცია 3 ვერსი, 7 ბარიერი.

მონაწილეობენ: ალსანდლუსი—მხედარი ალკაევი, ჩარონიცა—ავალიშვილი და ჟასმინი—რაზმაძე.

პირველი მოდის ჩარონიცა, მეორე—ალსანდლუსი, მესამე—ჟასმინი. სისწრაფე 4 წ. 36 წამი.

2 დ ო ღ ი: ჯილდო 50 მანეთი. დოღი დაბრკოლებებით მეთაურთა შემადგენლობისათვის სამწყობრო ცხენებზე, დისტანცია 6 ვერსამდი, საკონტროლო დოღი 1 ვერსტი 100 საჟ.

მონაწილეობენ: ასკოლდი, კორბუნი, არენდატორი, მეკი, გრამოტეი, ალფავიტი, არდონი, ობუხი, გულიკა, ვერდენი, დემიდი, აბრიკოსი და ავტორიტეტი.

პირველი მოდის ალფავიტი, მეორე—არდონი, მესამე—არენდატორი. სისწრაფე 1 წ. 41 წამი.

3 დ ო ღ ი: ჯილდო 50 მან. იმ ცხენებისთვის, რომლებიც მონაწილეობას იღებდენ საგაზაფხულო სეზონში დოღებში და ვერ მოიგეს 1-ლი ჯილდო. დისტანცია 2 ვერსტი.

მონაწილეობენ: ლედა—ავალიშვილი, გერა—კურბან-ოღლი, დონ-ჟუანი—შმელევი.

პირველი—ლედა, მეორე—დონ-ჟუანი, მესამე—გერა. სისწრაფე 2 წ. 41 წამი.

4. დ ო ღ ი: განდიკაპი 150 მან. წარმოკავშირის ჯილდო. დისტანცია 2 ნახ. ვერსი.

მონაწილეობენ: სარდარი—კაზუმ-ოღლი, საარიხი—კურბან-ოღლი, გოსპოდარი—შმელევი და გრელო—ავალიშვილი.

პირველი—გრელო, მეორე—სარდარი, მესამე—გოსპოდარი. სისწრაფე 3 წ. 11 წამი.

5 დ ო ღ ი: ჯილდო 80 მანეთი. დისტანცია 2 ვერსი.

მონაწილეობენ: რივიერა, პტი-შვო, მამური და ზულფიგარი

პირველი—პტი-შვო, მეორე—ზულფიგარი, მესამე—რივიერა. სისწრაფე 2 წ. 40 წამი.

6 დ ო ღ ი: სასინჯი დოღი 2 წლიან ცხენებისა და კვიცებისათვის. დისტანცია 300 საჟენი.

მონაწილეობენ: ვერაგი, ვაზი, ვიდრება, ვენახი, ვარსკვლავი, გულივერი, ვაშლოვანი და ვაშა.

პირველი—ვერაგი, მეორე—გულივერი, მესამე—ვაშლოვანი. სისწრაფე 41 წამი.

7 ივნისის დოღით დაიხურა საგაზაფხულო სეზონი.

დოღის და რბენის საშემოდგომო სეზონის გახსნა განზრახულია 6 სექტემბერს.

ფიზკულტურა

ფეხბურთი

თბილისის ნაკრები გუნდი—სახ. პოლიტეხნიკური ინსტიტუტი

კვირას, 7 ივნისს, საღამოს 5 საათზე ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა თბილისის ნაკრები გუნდის და სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის ფეხბურთელთა გუნდის შეჯიბრება.

თბილისის ნაკრები გუნდის მხრიდან თამაშობდენ: ბაგდოევი, ფრუიძე, თაყაიშვილი, იმნაძე, ჟორდანია, გონელი, ამბუკაძე ნიკო, თურქია ვ., კულეცი, მდივანი დ. და ქებაძე

შეჯიბრება ხალისიანად დაიწყო. თამაშის ინიციატივა თავიდანვე ხელთ იგდეს პოლიტეხნიკუმის ფეხბურთელებმა, რომლებმაც შეჯიბრების დაწყებისთანავე სასტიკი იერიშები განავითარეს ნაკრები გუნდის წინააღმდეგ, რასაც მეათე წუთზე შედეგათ მოჰყვა პირველი ბურთის შეტანა თბილისის ნაკრები გუნდის ჭიშკარში.

პირველი გამარჯვებით გათამამებულს პოლიტეხნიკუმის გუნდს შემდეგაც აღარ შეუწყვეტია იერიშები, მაგრამ ნაკრები გუნდი იერიშებს იერიშებითვე უპასუხებდა და თამაშმაც უფრო გაცხოველებული ხასიათი მიიღო.

პირველ ხავტაიმის დასასრულს ნაკრები გუნდის ცენტ-ფორვარდმა კულეცმა და მდივნისაგან მიღებული ბურთი მარჯვე დარტყმით შეაგდო პოლიტეხნიკუმის ჭიშკარში, რითაც აღდგენილ იქნა წონასწორობა ორივე გუნდებს შორის.

მთელი მეორე ხავტაიმის განმავლობაში შეტევაზე გადადიოდა ნაკრები გუნდი, რამაც გამოიწვია პოლიტეხნიკუმის თითქმის ყველა მოთამაშეების თავდაცვაზე გადასვლა მიუხედავად სასტიკი იერიშებისა, ნაკრებმა გუნდმა მაინც ვერ მიაღწია რეალურ ნაყოფს. შეჯიბრება გათავდა 1:1.

თბილისელი ფეხბურთელები ბაქოში.

თბილისის ნაკრებმა გუნდმა ბაქოში გამართა ოთხი შეჯიბრება: გუნდ „პროგრეს“ თან, ქალაქის ნაკრებ გუნდთან, უმაღლესი სასწავლებლის გუნდთან და „ბაილოველთა“ გუნდთან. ოთხი მატჩიდან თბილისელებმა მოიგეს ორი, ერთი უშედეგოთ დამთავრდა და ერთიც წააგეს.

საქართველოს ფეხბურთელთა გუნდების შეჯიბრება.

10 ივნისიდან ლენინის სახელობის სტადიონზე დაიწყება სრულიად საქართველოს ფეხბურთელთა გუნდების შეჯიბრება პირველობაზე.

შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის, გორის, ქუთაისის, ბათომის, ფოთის და სოხუმის გუნდები.

შეჯიბრების წესი იქნება ოლიმპიური. ერთხელ დამარცხებული გუნდი გამორიცხული იქნება მონაწილეთა რიცხვიდან.

შემთხვევები

— **გვამის პოვნა.** 6 ივნისს სოღანლუღში მტკვრის პირას იპოვნეს იაკობ კასალოვის გვამი (თბილისის მცხოვრ. არკადის შესახ. № 19).

— **ცეცხლი.** 7 ივნისს კალოუბნის ქ. № 10 მოქ. ხეველოვის ბინას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრეს ადგილობრივ ძალებით.

— **„ზაქტპოს“ კიოსკიდან.** 8 ივნისს მუშტაიდში მოთავსებულ „ზაქტპოს“ კიოსკიდან მოიპარეს 176 მან. საქონელი.

— **შეპყრობა.** 5 ივნისს შეიპყრეს ჯიბგირები ალი შათი ოღლი და არტაშ არუთინოვი.

— **ქურდი ქალი.** 6 ივნისს შეიპყრეს მოქ. გრეკოვა, რომელსაც ბრალდება ხუფსარკისის ქ. № 48 შრომის სკოლის გაქურდვა

— **ფურნის გაქურდვა.** 6 ივნისს, კომუნალური ქ. № 67 გრიგორიანცის პურის საცხობიდან მოიპარეს 150 მან. ნივთები.

— **ქურდი მეეტლე.** 8 ივნისს შეიპყრეს მეეტლე არჩილ კოტინი, რომელსაც ბრალდება თავის მგზავრის მიხეილ გელაშვილისათვის ფუთის მოპარვა.

— **მშენებელთა კავშირის კლუბიდან** 8 ივნისს მოიპარეს ერთი რუსული თოფი და სხვა და სხვა ნივთები.

— **პროლეტკულტის ქარხნის** საწყობიდან (ვერის დაღმართი № 16) 7 ივნისს მოიპარეს 300 მან. ნივთები.

— **თბ. საეპარქიო სანთლის** ქარხნიდან 7 ივნისს მოიპარეს 300 მანეთი.

— **ქურდი ცოლის ძმა.** 6 ივნისს ანდრეევის ქ. № 75 სოლომონ შუღლაძის მისმა ცოლის ძმამ დომენტი ზაქარაიამ მოპარა სხვა და სხვა ნივთები.

— **ქურდი.** 5 ივნისს მენშიკოვის ქ. № 5 მოქ. ილია მიქაძეს მოპარეს 500 მან. ნივთები.

მუშათა ცხოვრება

მათ ნაცვლად მოდიან.

საქართველოს ც. პ. სკოლამ, რომელიც დაარსდა 1923 წ. და რომლის მიზანს შეადგენდა თავი მოეყარა ყველა მაზრებიდან მუშისა და გლეხის შვილებისათვის და მოემზადებინა ისინი მომავალ ცხოვრებისათვის, მიაღწია თავის დასახულს მიზანს და ამ დღეებში უშვებს პოლიტ-ცოდნით შეიარაღებულ 58 ამხანაგს, ისეთ ამხანაგებს, რომელთაც შეუძლიათ ცხოვრების ყოველ დარგში მუშაობა, ვიმედოვნებთ, რომ ეს ამხანაგები მუდამ იქნებიან მშრომელი ხალხის განუყრელი მეგობრები და მათი გულის მესაიდუმლენი.

უსურვებ კურსდამთავრებულ ამხანაგებს პირნათლად ასრულებას იმ მოვალეობისას, რომელსაც ავალებს მათ კომუნისტური პარტია.

ძვირფასო ამხანაგებო! დაუბრუნდით თქვენ თქვენს მაზრებს მოჰფინეთ პოლიტ-ცოდნის სხივები მთელ მხარეს, მოევლინეთ გვალვად და მეხად მშრომელი ხალხის მტრებს. დაანგრიეთ თქვენის ფოლადის ხელებით ძველი წესწყობილებიდან დარჩენილი დამპალი კედლები და ცრუმორწმუნეობის ჯოჯოხეთური ფარდები.

გაუმარჯოს ჩვენს აღმზრდელ ხელმძღვანელს კომუნისტურ პარტიას, რომელმაც ჩვენ მუშებისა და გლეხის შვილებს მოგვცა საშვალება ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლისა!

კედლის გაზეთის რედ-კოლეგიის დავალებით **ლიდა სიმონია.**

დრამატიული წრე სუსტად მუშაობს

ქუთ. პროფბიუროსთან არსებულ დრამწრის მუშაობა ხელმძღვანელის ავადმყოფობამდის წესიერად მიმდინარეობდა. ხოლო გამგეობა მოისუსტებს, რადგანაც ამ წრეში მყოფი გაუსწორებელი ლოთის, მოშორება ვერ გაუბედნია.

აგრეთვე ქალთა ძალები ნაკლები ჰყავთ, რასაც საჭიროა წესიერი ყურადღება მიექცეს.

მუშკორი **თხიზურგელი.**

გამოასწორეთ ეს თავხედი ლოთი.

(მთ. მილიციის უფროსის საყურადღებოდ).

მე-9 რაიონში, ოსიპოვის შესახვევში, სახ. № 11-ში სცხოვრობს ერთი გაუსწორებელი, სკანდალისტი და **ლოთი ნიკო სულხანიშვილი.** როდესაც ეს ვაჟბატონი ღვინით გაილეშება, მოდის სახლში, გადმოდგება აივნიდან და ეზოში მცხოვრებთა უდანაშაულო სტუმრებსაც შეურაცხყოფას აყენებს უშვერი სიტყვებით.

მაგალითად ა. წ. 8 ივნისს, რკ. გზის პატიოსანი მუშა მივიდა თავისი ნათესავის სანახავად. სულხანიშვილმა დაუწყო მას უშვერი სიტყვებით გინება.

მილიციავ, საჭიროა ამ თავხედის მორჯულება. იმედია მიიღებთ შესაფერ ზომებს.

მუშკორი **ვარდი.**

რატომ არა სცხვენიათ?!

(მუშ. ცენ. კლუბის გამგეობის საყურადღებოდ)

მუშათა ცენტრალურ კლუბის წიგნთ-საცავ სამკითხველოში იკარგება წიგნები და უფრო ხშირად ჟურნალ-გაზეთებიც. საკვირველია! ყოველთვის ასე რომ იპარონ ჟურნალ-გაზეთები და წიგნები, განა კიდევ დარჩება რამე მშრომელთა განვითარების ტაძარში?!

რატომ არა სცხვენია ასეთი სამარცხვინო და უზნეო საქციელისთვის იმ საზიზღრებს, რომლებიც ასეთ თავხედობას ჰბედავენ!

ასეთი სამარცხვინო მოვლენები სხვა სამკითხველოებშიც ხდება.

მიიღეთ ზომები.

მკითხველი **ლ. მჭედლიშვილი.**

გამოგზავნილი წერილებიდან

ქურდებმა აგვიკლეს

სად. **გარდაბანში** 23 წლიდან ქურდობა გაჩნდა, ისედაც გაღატაკებულ ხალხს სულ არაფერი შეარჩინეს. მეტის ატანა შეუძლებელია. მოგვეშველეთ.

მზვერავი **გ—ლა—ლი.**

მუშათა დრამწრე მოიკოჭლებს

(ქუთაისის პროფბიუროს საყურადღებოდ)

ქუთაისის პროფბიუროსთან არსებულ მუშდრამწრის მუშაობა შედარებით კარგად მიმდინარეობს, მაგრამ აქვს ნაკლიც, რომლის შესწორებაც აუცილებელია. მაგ. ქალთა ძალები ნაკლებია, რაც ქალთა განყოფილებას არ ეპატიება; 2) ამ წრეს გაუსწორებელი ლოთი ჰყავს, რომელსაც გამგეობა ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს.

საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს.

მუშკორი თხიზურგელი.

ასე არ უნდა ხდებოდეს

(პროფკავშირთა საბჭოს საყურადღებოდ)

ჭიათურაში შ. ქ. მ. სააქციო საზოგადოების სამუშევრების პასუხისმგებელი თანამშრომელი **ანდრო ი. კობიძე** უმუშევართ, პროფ. კავშირის წევრებს ყურადღებას არ აქცევს და სამუშაოზე თავის ნათესავებს აყენებს, რომელთაც განსაკუთრებით წინდაწინ სოფლიდან იბარებს.

ამ მოვლენას საჭიროა ბოლო მოეღოს.

კომკავშირელი უმუშევარი.

სიმართლეს სწერენ მუშკორები

„კომუნისტი“-ს მე-111 №-ში იყო მოთავსებული მუშკორი ალ. ბეგიაშვილის წერილი შემდეგი სათაურით: **„ნუ დავაჩაგვრინებთ ობოლ ბავშვს“.** აღნიშნულ წერილს პროკურატურამ მიაქცია ყურადღება, მოახდინა გამოკვლევა და მთელი შინაარსი წერილისა დადასტურდა. მოქ. ეკატერინე მანუკოვა დაპატიმრებულია და გადაგზავნილი გამასწორებელ სახლში. საქმე მისი ბრალდების მიმართ გაირჩევა სასამართლოში.

ალმ. საქ. პროკურორის მაგიერ **ხარაბაძე.**

წერილები პროვინციიდან

საჭამიასერის რაიონი

(გურია)

საჭამიასერის რაიონის თითქმის მთელი მოსახლეობა ერთგულათ მისდევს აბრეშუმის ჭიის მოვლა-მოშენებას; ნაკლებათ მოიპოვება ისეთი ოჯახი, რომელსაც არ ჰყავდეს აბრეშუმის ჭია და არ უვლიდეს მას. საჭამიასერის რაიონი და კერძოთ თემი შედარებით სხვა თემებთან და რაიონებთან ღარიბია. ერთად ერთი შემოსავალი, რომლითაც გლეხი მოელის ოჯახის შემოსვას და სურსათით მომარაგებას—ეს აბრეშუმის ჭიაა, მხოლოდ უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ ხშირად გლეხს აბრეშუმი უფუჭდება და მისი შემყურე ოჯახი უნუგეშო მდგომარეობაში ვარდება. მიზეზები აბრეშუმის ხშირათ წახდენისა აუცილებელია უნდა ვეძიოთ მისი მოვლის არცოდნაში. ჩვენ აბრეშუმის ჭიას უვლით ისევ იმ ძველი წესით და ჩვეულებით, რომლის გამო ჭია ან სულ ფუჭდება და ან ცოტა სარგებელს იძლევა. ა | წ. მაისის შუა რიცხვებში საჭამიასერის თემს ესტუმრენ საზოგადოება „აბრეშუმის“ ინსტრუქტორები ამხ. ჩავლეშვილი და ცქიტიშვილი, რომლებმაც სხვადასხვა საქმეების გარდა სხვათა შორის გააკეთეს მოხსენება და აუხსნეს დამსწრე საზოგადოებას აბრეშუმის ჭიის მოვლის და გამოკვების წესები, უჩვენეს ხალხს იტალიური დადგმული. ლასტების ფორმა და მისი მნიშვნელობა სისუფთავის მხრით. ხალხი ნასიამოვნები დარჩა ახსნა-განმარტებით და დარიგებით. რომ უფრო განვითარდეს მეაბრეშუმობა ჩვენში, ამისათვის საჭიროა: 1 მეაბრეშუმეების თავის დროზე დაკმაყოფილება ფასით და მე-2-რე მოკლევადიანი კურსების გახსნა თემებში, სადაც მეაბრეშუმეებს საშვალება ექნებათ შეისწავლონ აბრეშუმის მოვლა ახალი წესით.

მაისის ბოლო რიცხვებში სამტრედიის მეხილეთა საზოგადოებამ „წინსვლა“-მ გახსნა ჩვენს თემში თავისი განყოფილება, რომელიც აღუთქვამს ხალხს ყოველგვარ ხეხილის გასაღებას და ბაზრის გამონახვას, რის გამო ხალხი დიდ სიხარულს და კმაყოფილებას გამოსთქვამს. თუ ეს ორგანიზაცია სასურველათ მოაგვარებს საქმეს, იმ შემთხვევაში მეხილეობის მეურნეობა უფრო განვითარდება ჩვენში.

ილიკო ბუბუტეიშვილი.

ღარიბი გლეხებისათვის დასარიგებელი ფული გლეხკომის წევრებმა დაირიგეს

სოფ. საქაშეთი (გორის მაზრა)

3 ივნისს 1925 წ. მოვიდა სოფ. საქაშეთში შინდისის თემის (გორის მაზრა) თავმჯდომარე და მოახდინა სოფელში საერთო კრება. მან გლეხებს აუხსნა თუ რა ვალდებულობა აქვს საბჭოს წევრებს, გლეხკომებს და სხვა. იგი გლეხკომებს აძლევდა დარიგებას, რომ მათ დახმარება გაუწიონ ულარიბეს გლეხებს.

ამხ. მანჩხაშვილს ჰქონია თან ფული, რომელიც უნდა დაერიგებინა ულარიბეს გლეხებისთვის სათესლე ჭირნახულის შესაძენად. ამხ. თავმჯდომარე შეეკითხა გლეხკომებს თუ ვინ არის სოფლად გაჭირვებული გლეხები, რომ მიეცა ეს ფული მათთვის. მაშინ საქაშეთის გლეხკომის თავმჯდომარემ ამხ. მინდიაშვილმა უთხრა, რომ მე თითონ მიჭირს ფული და მე უნდა მომცეო.

თავმჯდომარე მანჩხაშვილი შეიყვანეს შეცდომაში და მას დასცინცლეს ფული გლეხკომების წევრებმა, რომლებსაც სრულებითაც არ ესაჭიროებოდათ ფული.

მეორე დღეს გლეხკომის თავმჯდომარემ რადე მინდიაშვილმა დაიჭირა რვა მუშა ამ ფულით და დაიმუშავა თავის მამული, გლეხკომის წევრმა ვასო ომაძემ ამ ფულით იყიდა ანეული, გლეხკომის წევრმა (?) იყიდა ამ ფულით ღვინო.

ამ დროს კი სოფელში არიან ისეთი გაჭირვებული გლეხები, რომლებსაც ჭადი ენატრებათ. ამიტომ საჭიროა ჩამოერთვათ მათ ეს ფული და მიეცეს ულარიბეს გლეხებს.

გლეხი **კოლა ტარუაშვილი,**

რისთვის დაგვსაჯეთ?

(რკინისგზების სამმართვ. ეკონ. განყოფილების საყურადღებოთ)

ათი წლის წინეთ, სვირის თემმა სოფ. არგვეთის მცხოვრებთა დახმარებით, თავის ხარჯით ააშენა ს. ზესტაფონსა და ს. სვირს შუა ბაქანი „არგვეთი“. ბილეთების შეძენა შეიძლებოდა ბაქანიდან, როგორც ერთის ისე მეორე მხრით.

ა | წლის 20 მაისიდან კი ამდენი ხნის წესი შესცვალეს. ყველა ვისაც არგვეთიდან ზესტაფონს უნდა წასვლა იხდის ბილეთის ფასს სვირიდან ზესტაფონამდე. ასევე უხდება ზესტაფონიდან სვირში მიმავალსაც. ეს გარემოება დიდ მითქმა მოთქმას იწვევს მათ შორის, ვისაც ესაჭიროება აღნიშნული ბაქანით სარგებლობა. გლეხები ითხოვენ მთავრობის ყურადღებას. **ბ. ჩ—რთი.**

პროვინციის ქრონიკა

— **მასწავლებლის იუბილე.** 14 ივნისს ქუთაისში გაიმართება ძველი მასწავლებლის სპირიდონ ბესარიონის ძე ჯორჯიკიას იუბილე, პედაგოგიურ ასპარეზზე 40 წლის მოღვაწეობის გამო.

— **საპნის ქარხანა.** შორაპნის სამაზრო გლეხკომს განზრახული აქვს ჭიათურაში გახსნას საპნის სახდელი ქარხანა.

— **ხაშურის** იურიდიულ წერითი დამხმარე ბიურომ აპრილ-მაისში დახმარება აღმოუჩინა 315 გლეხს.

— **კონტრაბანდასთან** ბრძოლის გასაცხოველებლად აჭარის სახ. კომისართა საბჭომ დაარსა განსაკუთრებული ხუთეულები.

— **შორაპნის** მაზრის 36 სოფლის ქოხ-სამკითხველოს ადგილობრივმა გლეხკომებმა გამოუწერეს გაზეთები.

— **ზესტაფონში** დაიხურა ინვალიდთა არტელი „თვითმოქმედება“.

— **საქონლის ჭირი.** ჯავახეთში თავი იჩინა საქონლის ჭირმა. აგრეთვე გაჩნდა ცხვრის ავადმყოფობა, რომელიც მუსრს ავლებს ფარას.

— **აჭარის** ოთხ მაზრაში გაიხსნა სპირტის ქარხნები.

— **სიღნაღის** მაზრაში მიწათ-მოწყობის საქმეზე მუშაობს 10 მიწისმზომელი. მიწათ-მოწყობა დამთავრდება 28 სოფელში.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 19

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

ცენტრალურ კომისიის და არსებს შესახებ იმ პირთათვის პენსიის დასანიშნავად, რომელთაც განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით სახელმწიფოს წინაშე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან დაარსდეს ცენტრალური კომისია იმ პირთათვის გაძლიერებული პენსიის დასანიშნავად, რომელთაც განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით სახელმწიფოს წინაშე და რომელთაც შრომის უნარი დაუკარგავთ.

2. კომისია შესდგება: სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატისა, ა | კ. ფინანსთა სახ. კომისარის რწმუნებულისა, განათლების სახ. კომისარიატისა, შრომის სახ. კომისარიატისა და პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს წარმომადგენლებისაგან.

3. კომისიის თავმჯდომარეობა დაეკისრება სოციალური უზრუნველყოფის სახ. კომისარიატის წარმომადგენელს.

4 კომისიის ყველა დადგენილებას დაამტკიცებს სრულიად საქ. საბჭ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

5. კომისიის ტეხნიკური მუშაობა მთლად დაეკისრება სოციალური უზრუნველყოფის სახ. კომისარიატს.

6. გაუქმებულ იქნეს ყველა ანალოგიური კომისია რომელიც ამა თუ იმ უწყებასთან არსებობს პენსიის დანიშნისათვის, გარდა განათლების სახ. კომისარიატის კომისიისა.

7· დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1925 წლ. აპრილის 15.
თბილისი-სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ხუთშაბათს 11 ივნისს, არსენალის რაიონის ახალგ. ლენინურ კომკავშირის კლუბში (მილიუტინის და ანდრეევის ქ. კუთხე) საღამოს 6 საათზე ამხ. რაბინოვიჩი წაიკითხავს მოხსენებას: „თბილისის სპარტაკის ორგანიზაციის ისტორია“.

საქ. ახალგ. ლენინურ კომკავშირის თბილისის კომიტეტი იწვევს მოხსენებაზე ყველა ძველ არალეგალისტებს და აგრეთვე კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის აქტივს.

საქ. ახალგ. ლენინურ კომკავშირის თბილისის კომიტეტის მდივანი—**გობეჩია.**

— საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს შემდეგ ამხანაგებს ორი დღის განმავლობაში გამოცხადდენ ქალაქის რაიკომის საარიცხვო-განამაწილებელ ქვეგანყოფილებაში: 1) კოჭაშვილი გიორგი ანდრიასის ძე, 2) უმიკაშვილი ალექსანდრე ესტატეს ძე, 3) მიშველიანი ლავრენტი, 4) სტეფანოვი მიხეილ სარქისის ძე, 5) ტერ-სტეპანოვი ვანო სერგოს ძე, 6) სააკოვი მნაცაკან სერგოს ძე, 7) სარქისოვი ივანე, სარქისის ძე, 8) მანველიანი ვაგან ტიგრანის ძე, 9) მებონია მიხეილ კონსტანტინეს ძე, 10) მოსეინოვი ევგენი ანტონის ძე, 11) სააკოვი ნაპოლეონ სერგის ძე, 12) კობახიძე სამუილ ლუკას ძე.

რაიკომის პასუხისმგებელი მდივანი—**აკოპოვი.**

— ცენტრალურ პარტიულ კლუბში. ხუთშაბათს 11 ივნისს, გაიმართება წითელი სატირის საღამო დასაწყისი საღამოს 7 ნახ. საათზე.

— საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი იუწყება, რომ ხუთშაბათს 11 ივნისს, დღის 3 საათზე რაიკომის ბინაზე, გაიმართება უჯრედიდან გამოყოფილ სამხედრო ორგანიზატორთა თათბირი. ყველა სამხედრო ორგანიზატორთა დასწრება დაუგვიანებლათ სავალდებულოა.

მდივნის მაგიერ—**მელაძე.**

— დღეს 10 ივნისს, საღამოს 7 საათზე ცენტრალურ პარტიულ კლუბში იმეცადინებს საწარმოვო კომუჯრედთა მდივნების სემინარი.

მეცადინეობის თემაა—პარტმშენებლობის საორგანიზაციო პრინციპები. ჯგუფის ხელმძღვანელი ქართულ ენაზე—ამხ. მიშა ოკუჯავა, რუსულ ენაზე—ამხ. ასრიბეკოვი.

საქ. კომპარტიის რაიკომების მიერ ყველა გამოყოფილ მდივანთა დასწრება სავალდებულოა.

დეკანოზი თომა სპირიდონის ძე დუგლაძე, მეუღლე მისი ოლღა იოსების ასული და შვილები მათი შალვა, ვალენტინა, ქეთევანი, ნინო და თამარი ულრმეს მადლობას უცხადებენ ყველა ნათესავებს, მეგობრებს, ამხანაგებს და ნაცნობებს, რომელთაც გაიზიარეს

ქრისტინე თომა დუგლაძის ასულის

უდროოდ დაკარგვით გამოწვეული მათი უსაზღვრო მწუხარება. ყველამ, ვინც დეპეშით, წერილობით თუ სიტყვიერად პატივი ეცით ჩვენი ოჯახის გაუბედურებული წევრის ხსოვნას, მიიღეთ ჩვენი გულითადი მადლობა. 1-1 1587

შავიქვის წარმოების სამმართველოს თანამშრომლები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და მეგობრებს მათთვის ძვირფას თანამშრომლის

ბიჭიკო დგებუაძის

ტრაღიკულად გარდაცვალებას, რომლის დასაფლავება მოხდა ქ. ფოთში 9 ივნისს. 1-1 1583

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ბარბალე, შვილები ქეთო, სულიკო, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობართ, რომ ა | წ. 7 ივნისს გარდაიცვალა მათთვის საყვარელი

გიორგი იოსების ძე ელბაქიძე

ცხედრის გამოსვენება მიხეილის სახელობის საავადმყოფოდან დღეს, 3 საათზე. დაკრძალვა მოხდება წმინდა ნინოს სასაფლაოზე. 1-1 1584

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები—ქიისინე, თომა, და—ანნა, ძმები—სიმონ, ვლადიმერი, ვასილი და ალექსანდრე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი

კუჩურია (მარუსია) თომას ასული კალანდარიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქ. ოზურგეთში ხუთშაბათს, 11 ივნის. 1-1 1588

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: ლიუბა ქუთათელაძე, მარიამ სიძე მიხეილ და შვილის შვილი ლეილა რატიანები ამით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს ძვირფასი და დაუვიწყარ მამის

ილია ათანასის ძე ქუთათელაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება და დასაფლავება მოხდება ქ. ხონში ხუთშაბათს, 11 ივნის, ნაშუადღევს 4 საათზე. 1-1 1589

ძმები გიორგი და ბიკენტი ქუთათელაძეები, დები ნატალია ქუთათელაძისა, ელისაბედ წულუკიძისა, რისიკო გაგუასი და ემელია ქუთათელაძე, ძმის წული ნინა ჯაფარიძისა, რძალი ეკატერინე ქუთათელაძისა, სიძეები: ალექსანდრე ქუთათელაძე და სტეფანე გაგუა, შვილებით, სიძეებით, რძლებით და შვილისშვილებით მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ილია ათანასის ძე ქუთათელაძე

რომლის გამოსვენება და დასაფლავება მოხდება ქ. ხონში ხუთშაბათს, 11 ივნისს ნაშუადღევს 4 საათზე. 1-1 1589 (•)

დავით და კონსტანტინე ვასილის ძენი ქუთათელაძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ა | წ. 7 ივნისს, უდროოთ გარდაიცვალა ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ მათი საყვარელი ძმა

ვასილ ვასილის-ძე ქუთათელაძე

რომლის ცხედარი დასვენებულია ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში და დასაფლავება მოხდება იქვე 10 ივნისს, ნაშუადღევს 5 საათზე. 1591. 1—1

თბილისის ქალაქის ლომბარდი

(ლორის მელიქოვის ქ. № 8) ამით აცხადებს, რომ კვირას 14 ივნისს, დილის 11 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ვადა გასულ გირაოებისა, გასასყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში.

ნ. 1292 1—1

ხელოვნების საქმეთა მთავარ საბჭოს პრეზიდიუმი

ამით სთხოვს იმ პირთ, რომლებმაც წარმოადგინეს **ვანო სარაჯიშვილის** ძეგლის პროექტი წაიღონ უკან თავიანთი პროექტი სამი დღის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში პრეზიდიუმი მათ დაცვაზე პასუხს არ აგებს.

ნ. 1293 1—1 პრეზიდიუმი.

ს.მ.უ.ს. ს.მ.უ.ს.

„ცენტროტრამოტი“

საზაფხულო სახალხო მიმოსვლა

თბილისი—ვლადიკავკავი
„ კოჯორი
„ მანგლისი
და აგრეთვე ყველა მიმართულებით.

კანტორის მისამართი: პუშკინის ქუჩა № ტელ. 20—96. (ყოფილ თამამშოვის ქარვასლაში) კანტორა ღიაა დილის 7 საათ. საღ. 7 საათ.

0—5 ნ. 1249

ხელისმომწერლებმა ყოველგვარი ცნობებისათვის უნდა მიმართონ „კომუნისტი“-ს მთავარ კანტორას რუსთაველის პრ. № 24. ტელეფონი № 10—49.

გორის მთლიანი კოოპერატივის გამგეობა

ამით აცხადებს

გორის დაწესებულებების თანამშრომელთა და ყოფილ თანამშრომელთა საყურადღებოთ, რომელთაც მართებთ კოოპერატივის ვალი, რომ დროა გაასწორონ ანგარიში, წინააღმდეგ შემთხვევაში მოკლე ხანში მათი სახელი და გვარი გამოცხადებული იქნება პრესის საშუალებით და ვალი კი განაღდებული სასამართლოს წესით.

გამგეობა.

1290. 2—1

თბილისის საბირჟო კომიტეტი

აცხადებს ყველა სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციების და კერძო პირთა საყურადღებოდ, რომ სავაჭრო დაწესებულებებს აქვთ საშუალება ბირჟაზე და ბირჟის საშუალებით შეიძინონ და გაყიდონ ყოველნაირი საქონელი

იმ საქონლის განაღდების გასაადვილებლად, რომელსაც ვერ ასაღებს თბილისის ბაზარი და აგრეთვე იმ საქონლის სყიდვის მოსაგვარებლად, რომელიც არ იშოვება თბილისის ბაზარზე, თბილისის ბირჟა აწარმოებს ურთი-ერთ საბირჟო შეთანხმებას, რისთვისაც კავშირი აქვს საკავშირო რესპუბლიკების ყველა დიდ ქალაქებთან.

ურთიერთ საბირჟო შეთანხმება გარანტიას იძლევა შეთანხმების დროულად შესრულებაში და კონტრაგენტების კეთილსინდისიერებაში.

ურთიერთ საბირჟო შეთანხმება საქონელზე საგრძნობლად ამცირებს დანართ ხარჯებს, რადგან საშუალებას იძლევა თბილისში უმნიშვნელო ფასის გადახდით შეთანხმება დასდოთ საბჭოთა რესპუბლიკების რომელ ადგილთანაც გინდათ, ნაცვლად დიდ ხარჯიან მივლინებისა და საკავშირო რესპუბლიკების სხვადასხვა ადგილებში საგენტოების გახსნისა.

თბილისის ბირჟაზე არსებულ საქონლის ყოველდღიური მოთხოვნა და მიწოდება, მათ რიცხვში, ურთი-ერთ საბირჟო მოთხოვნილება და მიწოდება იბეჭდებიან „ამიერ-კავკასიის ბიულეტენში“ („Закавказский бюллетень“), რომელსაც სცემს ბირჟა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის შინაგან სავაჭრო კომისარიატთან და საკომერციო სატელეგრაფო საგენტოსთან ერთად.

ბირჟის სხდომები ხდება ყოველ დღე დღის 12-დან 2 საათ.

დილის 9 საათიდან მუდმივათ არის მორიგე მაკლერი.

ბირჟასთან არსებობს საექსპერტიზო ბიურო, რომელიც ახდენს განცხადების შემოსავლიდან 24 საათის განმავლობაში ყოველნაირ საქონლის ექსპერტიზას,

ცნობების მიღება ბირჟიდან შეიძლება დილის 9 საათიდან დღის 12 საათამდე.

ნ. 1290 1—1

საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის ბანკი

„როსკომბანკ“-ი

კეცხოველის ქ. № 5 (ყოფ. სათავადაზნაურო სადგილ-მამულო ბანკის სახლი, მე-2 სართული)

**ყიდულობს
ყოველგვარ
ვერცხლს და ოქროს**

სხმულადებში (в слитках) და ნამტვრევებს, და აგრეთვე მეფის დროინდელ ოქროს და ვერცხლის ფულს.

3—8 ნ. № 1267

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი)

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

9205 25—8

ნ. ჰ. ხიზიაკინის

საწერ მანქანების

სახელოსნო

ყიდულობს

მაღალ ფასებში სხვადასხვა საწერ მანქანებს.

სასახლის ქ., № 6

5—2 ნ. 1268

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა

მიღება: დილის 9—11 საათამდე საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ.

№ 3208. 25—11

ექიმი

გ. ნ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი

კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.

მიღება საღამოს 5—7 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 38. 25—18

ექიმი

მ. ო. ზანდუკელი

დაბრუნდა და განაახლა მიღება შინაგან და ვენერიულ ავადმყ. ლენინის (ოლღას ქ. 49(.

ტელ. 4—82 საღამოს 7—8 საათ. ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი,

ნ. 1346 25—17

ექიმი

ი. დ. თოფურიძე

ქუჩა კალინინის (ყოფილი ნიკოლოზის) № 33.

იღებს ავადმყოფებს

კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათადის, საღამოს 4—8 საათამდის.

25—17

ექიმი

გ. გ. მეგრაბიანცი

ავადმყოფობა ფილტვების, გასული ტუბერკულიოზის. სპეცმკურნალობა მალიარიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.

მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.

1246 25—17

კბილის ექიმი

ფ. თ. რატიანი თუხარელისა

კბილის და დძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

25—17

ექიმი

ა. ს. ფონ-ირტელი

მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბო-მონდი).

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის. სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

25—11

ექიმი

გ. მ. ფხალაძე

კანისა და ვენერიული სნეულ.

სიფილისი (606—914)

მიღება: კაც. 7—8 ს. დილ. 7—8 ს. საღ.
ქალების 6—7 ს. საღ.

მოსკოვის ქ. № 4.

25—12 № 1432

ექიმი

ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. და 6—8 ს საღამოთი: ქალების და ბავშვების 5—6 ს.

მისამართი: რუსთაველის პროსპ. №18

შესავალი გრუზენშტეინის ქუჩიდან.

25—12

ექიმი

ნ. ა. ჯანდიერი

შინაგან და ქალთა ავადმყოფობანი. იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—7 საათამდე.

სომხის ბაზარი № 3.

25—2 № 202.

ექიმი

დ. ა. გალუსტიანი

შინაგანი, კანის, ვენერიული

(მწვავე და ქრონიკული ტრიპერი), სიფილისი.

მიღება დილის 8-დან 11-დე და საღამოს 5-დან 8 საათამდე.

ქალების მიღება დღის 12-დან 1 საათამდე

ელისაბედის ქ. № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.

284 25—11.

არ არის უკეთესი

კეფირი, ვიდრე

ო. კორონასი

ლორის მელიქოვის ქ. № 6.

ცნობილია მრავალ სამედიცინო გამოკვლევების დროს ყველაზე საუკეთესო კეფირად, როგორც თავისი ღირსებით, ისე დამზადებით, რაც მიღწეულია 45 წლის გამოცდილებისა და დაკვირვების შემდეგ.

ამიტომ ვსთხოვ ყველას, შეადარონ ჩემს ლაბორატორიაში დამზადებული კეფირი სხვა კეფირს.

მსურველთ შეიძლება სახლში მივა [illegible] ნ. 1106 25—25

ექიმი

გ. ა. ლუკოვეცკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე ქალების მიღება 1 საათიდან—2 საათამდე.

საპიორის ქუჩა № 35. ყოფილი კადეტ. კორპ. უკან.

25—2

დავკარგე მეტრიკული მოწმობა № 1125 ლუარსაბ ილიას ძე ჯაჯანაშვილის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1590

დავკარგე დაზღვევის წიგნაკი № 47799 და პირადობის მოწმობა № 51 მოცემული სახელ. უნივერსიტეტიდან მელიტონ სოლომონის ძე ნოზაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1584

დავკარგე პირადი წიგნაკი მოცემული მე-10 კომისარიატის სამხედრო მაგიდის მიერ სტუდენტ სევერიანე ილარიონის ძე ახობაძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1586

დავკარგე პირადობის მოწმობა მოცემული რკინიგზის სამმართველოდან № 2284 და ბილეთი № 312344 კონსტანტინე ესტატეს ძე ბაციკაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1585

ტირაჟი—21.170

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, საზ. წულუკიძის ქ. № 4